[illegible]ართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთ[illegible]

სამშაბათი 10 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი.. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხაზგლოვიანი განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნახევ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 31

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 31

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩ.მ.კ.ძე გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 7 თებერვალს მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

ი უ ლ ი ა

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 11 თებერვალს; დილის 10 საათიდან გადასვენებული იქნება ქაშვეთის ეკლესიაში წირვა; წირვის შემდეგ გასვენება და დასაფლავება მოხდება ვერის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში. (497 2—1)

მღვდელი გიორგი ნიკოლოზის ძე და მეუღლე მისი იფროსინე გაიოზის ასული, შვილები ერმალოზ, ივლიანე და კონსტანტინე გიორგის ძენი ჩიმაკაძეები, რძლები ანასტასია და კეტო გულითადი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარი რძლის

იულია დავითის ასულის ჩიმაკაძისას

(4972 2—1)

ნესტორ, ვარლამ, ლავრენტი და ლიდა დავითის ძე ბიძიგურები, მათი მეუღლეები: მატრონა, ცაბო და საშა და შვილები: ქეთო, კუკუ, ავთანდილი, თამარა, შოთა, კაკო და თეიმურაზი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი დისას, მეორენი მულისას და მესამენი მამიდასას

იულია დავითის ასულის ჩიმაკაძისას

(497 2—1)

უზომოთ დამწუხრებული ბიცოლა დარო და ბიძა ივანე ჯორბენაძენი, ბიძაშვილები ხაშო და გრიშა [illegible], ნინო და ქრისტეფორე ანთაძენი, სონა, ლოლა, მიშა და თამარი ჯორბენაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დაბა სუფსაში უეცრივ გარდაიცვალა ჯერ ახალგაზრდა და მათთვის დაუვიწყარი

შუშანა პეპუს ასული ხორგუანისა

დასაფლავება მოხდება სამშაბათს ათ თებერვალს, გამოსვენება საკუთარი სახლიდან. (495 1—1)

ულრმესად დამწუხრებული შვილები: მიტროფანე, ილარიონ, ტასო, პოლინა და რძალი ნინო ჭუნიები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ პირველი ოთხის საყვარელ მამის, ხოლო უკანასკნელის სამამრის

ნიკიფორე გურგენის ძე ჭუნიას

გარდაცვალებას. გამოთხოვების დღეა დანიშნული სამშაბათი 10 თებერვალი ს. ლესაში. (494 1—1)

იესე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, დედა მისი ანასტასია ალექსანდრეს ასული და ძმა ნიკოლოზი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე, მეორისა და მესამის რძალი

ელენე კოსტანტინეს ასული ბარათაშვილისა

გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდან (ოლღის ქუჩა, № 20) ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზე (499 1—1)

მეგობრები და მახლობელნი
ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

ელენე ბარათაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს დილის 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან, ოლღის ქუჩა № 20. 501 1—1)

უზომოთ დამწუხრებული დედა მართა, და ელენე, ძმები: გრიგოლი და ალექსი და რძალი ანნეტა სისორდიები, და ნადია და სიძე პარმენ შოთაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ რუსეთში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი სტუდენტი

კოლია ნესტორის ძე სისორდია

რომლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქ. ზესტაფონში 10 თებერვალს, დავით კონსტანტინეს ეკლესიაში. (496—1—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ანა, შვილები: კოლია, მართა და ვახტანგი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას

აკოფ ივანის ძე მანიურაძისას

რომელიც მოკვდა 7 თებერვალს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 5 საათზე სახლში, [illegible] მოედანი, [illegible] ჩიხი № 2. სახლიდან გამოსვენება მოხდება 12 თებერვალს 10 საათზე წმინდა მარინის ეკლესიაში, საიდგანაც გასვენებული იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (498—2—1)

15 თებერვალს, 1920 წ. ქ. თფილისში საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დილის სრულ 10 საათზე დაიწყება

საქართველოს მეთამბაქოეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეთამბაქოეს, აგრონომებს და მოღვაწეთ, ვისაც დაინტერესება აქვს მეთამბაქოეობისადმი. ერობები, კოოპერატივები და საკრედიტო დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

[illegible] ყველა [illegible] წარმომადგენლებმა მანდატები ადგილებიდან. ბარათის და ცნობების მიღება შეიძლება ქვემო მოყვანილ მისამართით დილის 10 საათიდან 2 საათამდე. თფილისი, გრიბოედოვის ქ. № 2 ტელ. 6—43.

(438—6—4) საორგანიზაციო კომიტეტი.

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა ერილობის საბჭო აწყობს

ორ თვიან საკოოპერაციო კურსებს

პოლიტიკის კოოპერატივებისა და უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებელთა მიერ წაკითხული იქნება შემდეგი ლექციები:

1) თეორია და პრაქტიკა მომხმარებელთა კოოპერაციისა, 2) მწარმოებელი კოოპ., 3) საკრედიტო კოოპ., 4) პრაქტიკული მეცადინეობა საქალაქო და სასოფლო კოოპერაციაში, 5) კოოპერატიული მოანგარიშეობა, 6) ელემენტარული ცოდნა საქონლის შესწავლის შესახებ, 7) ამიერ კავკასიის ეკონომიური გეოგრაფია, 8) კოოპერატიული კანონ-მდებლობა, 9) კოოპერატიული სტატისტიკა.

ამას გარდა წაკითხული იქნება რიგი ლექციებისა კოოპერაციის და საზოგადო მეურნეობის სხვადასხვა კერძო საკითხების შესახებ. კურსებზე მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია 100 მსმენელით, და გაიხსნება 50 მსმენელის შეგროვების შემდეგ.

მსმენელებად მიიღებიან აგრეთვე ისინიც, რომელთაც არა აქვთ ატესტატი, მაგრამ მათი საერთო განვითარება უდრის საშუალო სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას. კურსების გათავების შემდეგ მსმენელებს მიეცემათ შესაფერი მოწმობები.

მეცადინეობა დაიწყება 20 თებერვლიდან. სწავლის ფასი 600 მანეთი. ჩაწერა შეიძლება, 1) ამ.-კავკ. კოოპ. კავშირის გამგეობის ბინაზე (კოოპერაციის ქ. № 15) 2) მოსკოვის სახალხო ბანკი—ლორის მელიქოვის ქ. № 9, 3) თფილისის კოოპერატივის დუქნებში, ოლღას ქ. № 3 და ერივნის მოედანი, 4) კოოპ. „ლოხრძინების" კანტორაში—მუშათა სასახლე, 5) ქ. თფილისის კოოპერატივთა კავშირში სასახლის ქ. 5. (6. 1—1)

მიწათ-მოქმ. სამინისტროს სამიჯნაო განყოფილება

იწვევს მიწის მზომელთ თავისუფალ ადგილებზე რესპუბლიკის ყველა საერობო სამიჯნაო განყოფილებებში, გარდა თფილისისა. სამსახურის პირობების გაცნობა შეიძლება სამიჯნაო განყოფილების კანცელარიაში (ყოფილ კადეტთა შენობა) 9—3 საათამდე. (448—3—2)

15 ენკენისთვეს 1919 წელს ქალ. ქუთაისიდან სადგურ ხაშურისათვის ფოთში გამგზავრდა

კარპე ფირანის ძე შენგელია

იქიდან მას აზრათ ჰქონდა ტუაფსეში წასვლა.

რადგან აქამდის მისგან არავითარი ცნობა არა მაქვს, ვთხოვ ყველას, ვისაც ის ყავს სადმე ნახული, ან რაიმე ცნობები აქვს მასზედ შემატყობინოს, რისთვისაც მიეცემა ჯილდოთ სამი ათასი მანეთი. მისამართი: ქ. ქუთაისი, მოსე ფირანის ძე შენგელია, თარხნის ქუჩა. (465—3—2)

ქალის ექიმი ეკატერინე დავითის ასული

ა ბ ა ზ ა ძ ე

განაახლა კერძო პრაქტიკა. იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. საღ. ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე [illegible], რუსთ. და მელიქოვის ქუჩ.). (467 6—2)

ექიმი ბ. თ. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

გაწმენდისათვის

საქართველოს ეკონომიურ კრიზისს ძალზე დიდ საფრთხეს ავლენენ რუსეთის სამოქალაქო ომის შედეგები.

ბოლშევიკების შეტევის ჟამს, როცა დენიკინის ლაშქარი ხელაღებით მიიწევდა მოსკოვისაკენ, საქართველო ბლოკადა-შემორტყმული იყო. მეფის გენერლები, გალაღებულნი გამარჯვებით, შიშმილით შეჰყურებდნენ ემუქრებოდნენ საქართველოს დემოკრატიას, რომელიც მათ თვალში ბოლშევიზმის ბუდეს წარმოადგენდა და ბოლშევიკურ რაზმებს ასაზრდოებდა. ახლა, როცა დენიკინის ლაშქარი დნება—დენიკინის ველურ პოლიტიკის წყალობით ყუბანსა და სხვა ადგილებში, ბოლშევიკთა „წითელ არმიების" მოწოლამ საქართველო ახალ პრობლემის წინაშე დააყენა. დენიკინმა ბლოკადა მოხსნა, რადგან მის განგრძობა აღარ შეეძლო. მაგრამ ამ მოხსნას შედეგი არა პურის შემოტანა, არამედ ლტოლვილთა შემოსევა საქართ. ტერიტორიაზე. ეს ლტოლვილები არიან უმთავრესათ შეძლებულ კლასის წარმომადგენელნი, რომელნიც გაურბიან ბოლშევიკთა ტყვიას და საბოხობელს, მაგრამ აქ, ამ პატარა საქართველოში შემოსულნი, ისინი თავის სქელი ჯიბით დიდ ზიანს აყენებენ ჩვენი საქონლის ბაზარს, რომელიც სავსეა ქაღალდის ფულის ნიშნებით, მაგრამ ცარიელია საქონლით.

ამ გამოქცეულთა რიცხვი ორნაირათ უძნელდება ჩვენს ქვეყანას. ერთი უსაქმოობის გამო, მეორე ფასის სიძვირის გამო. ეს უკანასკნელი იზრდება თანდათან ამ შემოსულთა წყალობითაც. ძალა თანხა აქვთ და რომ ადგილობრივ მცხოვრებთ მეტი საქონლის საფასური [illegible], ფასებს არ ერიდებიან. ცხადია პატარა რესპუბლიკას, რომელსაც თავისი ვალუტა არ მოეპოვება, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუშორებია თავიდან რუსეთის ფულის ნიშნები, ამათ წინააღმდეგ ბრძოლა ბაზარზე ერთი-ორად უძნელდება, თითქმის სრულიად არ შეუძლია.

მაშასადამე უნდა იქნეს სხვა ზომა მიღებული, უნდა გამოინახოს სხვა საშუალება ამ საშინელ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოელის პირველ ყოვლისა რესპუბლიკის დემოკრატიას და რესპუბლიკის ხაზინას. ამ უკანასკნელს ამ რამდენიმე დღეში დაიწყო უკვე რამდენიმე ასეული მილიონი გასავალი გაძვირების წყალობით, და რაც უმთავრესია ეს ხარჯი არ ხდება შეღავათის მომტანი არც მოსამსახურეებისთვის, არც რესპუბლიკისთვის. იგი ტვირთია, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებს ხაზინის მდგომარეობასთან ერთად მუშა-მოსამსახურეების გამოკვების საქმესაც.

ამრიგად ჩრდილოეთიდან შემოვარდნილი ტალღა პირველად ყოვლისა ეხება მშრომელთა და მსახურთა ინტერესებს, აძლიერებს მათ გაჭირვებას. თავისთავად მხოლოდ რუსეთის ბურჟუაზიულ ლტოლვილთა შემოსევა არ შექმნიდა ასეთ ვითარებას, რომ ამ ნიადაგზე თავისუფლად განვითარებული სპეკულაცია ადგილობრივი და უცხო კაპიტალის არ ითბობდეს ხელს ჩვენის გაჭირვებით.

იქ, სადაც არეულ-დარეული ეკონომიური ცხოვრებაა, ეს მღვრიე წყლის მებადურნი ხშირად იჭერენ თევზებს.

დემოკრატია, რომელიც ახალ წყობილებას აშენებს, ახალ მკვიდრ ურთიერთობის დამყარებას ცდილობს ფართე მასსის სასარგებლოთ, ამგვარი [illegible] ატანა არ შეუძლია. და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, ხალხის საერთო დოვლათი და [illegible] ისეთ ხასიათს მიიღებს, ისეთ ფორმებში გამომჟღავნდება, რომელიც არ შეიძლება სასარგებლო და სასურველი იყოს ვინმესთვის, გარდა ჩვენი რესპუბლიკის დაუძინებელი მტრებისა. რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ამ ფულის ნიშნებით დატვირთული ჯორკიდებულთა შემოსევა ჩვენს საზღვრებში.

პოლიტიკურ ლტოლვილების წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ ძალით ბურჟუაზიის აქ რჩენა არ შეგვიძლია. გაჭირვებულთ ჩვენ უკანასკნელ ლუკმას გავუნაწილებთ, მაგრამ ვინც სქელი ჯიბის წყალობით ჩვენ ლუკმას პირიდან გვაცლის და სულ ცარიელზე გვტოვებს, მისი აქ შემოშვება,—არ ვიცი, რით შეიძლება გამართლებულ იქნეს.

დღემდე თფილისს ვწმენდდით უბინაობის და უსურსათობის გამო. სამწუხაროთ ქალაქი, მგონი, უფრო ავსო დღეს გარეშე ელემენტებით. მაგრამ ახლა მაინც უნდა შევეცადოთ თვით რესპუბლიკის გაწმენდას ზედმეტი ელემენტისაგან. ღარიბ ქვეყანას ზედმეტი პირის რჩენა არ შეუძლია.

მდიდრებს აქვთ საშუალება წავიდნენ იქ, სადაც მეტი სანოვაგე იშოვება, მათთვის გზა ყველგან გახსნილია.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ამ შემთხვევაში ზედმეტ სტუმართმოყვარეობიდან განვთავისუფლდეთ თავი და ის ორიოდე ლუკმა პური, რომელიც მოგვეპოვება და რომლის შოვნაც შეგვიძლია, ჩვენ დამშეულ ხალხს მივაწოდოთ.

საფრანგეთის სოციალისტები

ომის პროცესში მუშა ხალხის ძალთა და მოქმედებათა დაქსაქსვამ მეომარ სახელმწიფოებში მიაღწია უკიდურეს ზომამდე, ხოლო ბოლო ხანებში, როცა იარაღის ჟღარუნი ცოტათ თუ ბევრათ განელდა, მუშათა პარტიები შეუდგნენ მუშათა ძალთა-მოქმედებების გაერთიანებას, მასის დისციპლინის განმტკიცებას, საერთოდ ყველა იმ მომენტების აღდგენა გამაგრებას, რომელნიც გარანტიაა მუშათა პოლიტიკური მნიშვნელობის და უნარის ამაღლების. პარლამენტი ასეთ საქმეში იარაღია, რომელსაც ამ მომენტისათვის იყენებენ მუშათა სოციალისტური პარტიები. რამდენადაც ხშირია პარლამენტში ეგრეთ წოდებული „დიდი დღეები" და რამდენადაც ამ „დიდ დღეებში" მუშათა წარმომადგენელნი პარლამენტში უკეთ იყენებენ, მით უფრო ჩქარა ტემპით ხდება გაერთიანების, ალღოს, შეგნების პროცესი. ხოლო მთავარი ის არის, რომ ასეთი „დიდი დღეები" პარლამენტის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა. პარლამენტი უფრო ხშირად წვრილმანებზე ბურდავდება, წვრილმანი საკითხების ირგვლივ ტრიალებს. ეს ერთგვარ ინდიფერენტიზმს იწვევს ფართე მასსაში პარლამენტისადმი. ასეთი ინდიფერენტიზმმა თავი იჩინა საფრანგეთის მუშათა მასსაში და რომ მუშათა მასსა არ მოსწყდეს პოლიტიკურ ცხოვრებას, ფრანგ სოციალისტებმა ამას წინათ დაადგინეს მუშაობის ცენტრი სიმძიმისა პარლამენტიდან პარლამენტს გარეთ გადაიტანონ, გამოიყენონ ყველა ის საშუალებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ფართე მასსის ძალთა შეკავშირებას, პოლიტიკურათ აღზრდას. საფრანგეთის სოციალისტები რაიაკვირველია შეასრულებენ იმ მოვალეობას, რომელიც მათ დაკისრებული აქვთ, როგორც ხალხის წარმომადგენლებს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ფართე მასსაში მუშაობას მიაქცევენ. ასეთ დადგენილებას ჩვენის აზრით მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება საფრანგეთის მუშათა-კლასისთვის და ჩვენ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ამ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს.

ი. ხაღაკაია.

პრესა

გაზეთი „სლოვო" ერთმანეთს ადარებს ბოლშევიკურ მთავრობის პოლიტიკას ერთის მხრით, ენტანტის მეორეს მხრით, საქართველოს მიმართ და საგულისხმო მოსაზრებებს გამოსთქვამს.

„უნდა ვფიქრა, რომ საქართველოს არა ნაკლები, შეიძლება, მეტი უფლებაც ექნებოდა მოეთხოვა საბჭოთა რუსეთისაგან თავისი სუვერენული უფლებების პატივისცემა და მშვიდობიან კეთილ მეზობლური დამოკიდებულების დამყარება, ვინაიდან იგი არასოდეს არ ემხრობოდა მოსკოვს, პატივსცემდა თავის ნეიტრალიტეტს და არასოდეს არ ყოფილა ბაზათ სამხედრო მოქმედებისა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, როგორც ამას ენტანტა შვრებოდა.

„მიუხედავად ამისა „ჟორდანიასა და გეგეჭკორის მთავრობისადმი" გაგზავნილ ჩიჩერინის უკანასკნელ ნოტას კილო აშკარა მტრული და მამხილებელია; ამასთანავე,—სცნობენ რა იურიდიულ ხელშეკრულებით ესტონეთის სრულ ნეიტრალიტეტს რუსეთის სამოქალაქო ომში, მოსკოველ მმართველებს სურთ ძალა დაატანონ საქართველოს „უშუალო და გაბედული მონაწილეობა მიიღოს რუსეთისა და საქართველოს მშრომელ მასსის საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში".

„ჩიჩერინის ნოტის მკაცრი მხილება და ბრალდებები განსაკუთრებულ განცვიფრებას იწვევს თავისი უსამართლობით და მეტის უფლებით შეიძლება დაუბრუნდეს თვითონ ბოლშევიკურ მთავრობას. ეს მთავრობა, რომელმაც საქართველო სომხეთთან ერთად ბრესტ-ლიტოვსკში მიყიდა ოსმალურ იმპერიალიზმს, ბრალს სდებს საქართველოს ოსმალეთთან მეგობრობაში, რომელიც იძულებული შეიქნა დროებით მიეღო გერმანელების ფარველობა ოსმალეთის ურდოებისაგან თავის დასაცავად. თვითონ სამარცხვინო ზავი შეკრა ვილჰელმ მეორის გერმანიასთან და დღეს საქართველოს სდებს ბრალს იმაში, რომ მან არ აიღო იარაღი ინგლისელების წინააღმდეგ, რომლებიც მოვიდნენ, რათა გაერეკათ ამიერ-კავკასიიდან ოსმალეთის მოძალადენი. შედიან რა საიდუმლო კავშირში ახალგაზრდა ოსმალებთან, საბჭოთა პოლიტიკოსები ბედავენ შეუმოწმებელ ხმების მიხედვით ბრალი დასდონ საქართველოს არარსებულ სამხედრო მზადებაში და მოლაპარაკებაში ამ მიზნით ინგლის-საფრანგეთთან. ძნელი სათქმელია, რაა აქ მეტი: ფაქტების დამახინჯება, თუ ბოროტი მისწრაფება გამოინახოს საბაბი ბრძოლისათვის პატარა ქვეყნის ნეიტრალურ და მშვიდობიან მთავრობის წინააღმდეგ.

„ყოველ შემთხვევაში, ვერც ცდუნებით, ვერც შთაგონებით, ვერც უსაფუძვლო ბრალდებებით საბჭოთა მმართველები ვერ შესძლებენ ააცდინონ საქართველოს მთავრობა ნეიტრალიტეტის პოზიციას და შეაცვლევინონ ორიენტაცია კულტურულ დასავლეთზე ბოლშევიკურ ანარქიაზე ორიენტაციით.

„ამ აზრით უკვე გამოთქმულია დასაბუთებული პასუხი ნ. ნ. ჟორდანიას მიერ დამფუძნებელ კრებაში წაკითხულ დეკლარაციაში. ჩიჩერინის ყველა ბრალდებებზე და მოწოდებებზე დაწვრილებულ პასუხს კი ჩვენ ვპოულობთ ე. პ. გეგეჭკორის საპასუხო ნოტაში".

ადერბეიჯანი და საბჭოთა რუსეთი

ჩიჩერინის ნოტა ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი.

ბაქო, საგარეო საქმეთა მინისტრ ხან ხოილს

23 იანვარს რუსეთის საბჭოთა მთავრობა თავისდა სამწუხაროდ, იძულებული იყო აღენიშნა, რომ ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხან ხოილის რადიო დეპეშა 14 იანვრის თარიღით გამოგზავნილი, არ შეიცავდა პირდაპირ პასუხს იმ წინადადებაზე, რომლითაც მოგმართეთ და მოვითხოვდით სამხედრო კავშირის შეკვრას დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველათ. არაპირდაპირი პასუხი შეიძლება დავინახოთ მინისტრ ხან-ხოილის განცხადებაში: „რომ ადერბეიჯანის მთავრობა აწარმოებდა ბრძოლას მეფის გენერალ დენიკინთან". და მეორე ის, რომ ადერბეიჯანის მთავრობა პრინციპიალურად წინააღმდეგია სხვა ხალხთა შინაურ საქმეებში ჩარევისა. სამწუხაროდ ზემოხსენებული პირველი განცხადება სინამდვილეს ეწინააღმდეგება. როგორც ვიცით, ბაქოში იყო მოხალისეთა ლაშქრის მთავარ სარდლობის შტაბი, რომელიც ტერორისტული აქტის მსხვერპლიც კი შეიქნა. ადერბეიჯანის მთავრობის დახმარებით დენიკინის აგენტის პოდშიბიაკინის ხელმძღვანელობით ბაქოში და ადერბეიჯანის სხვა ადგილებში მობილიზაცია ხდებოდა რუს ოფიცრების, რომლებიც დენიკინის ლაშქარ-

დღეს

ანგლო-საფრანგეთის წარმომადგენლების თათბირზე ლონდონში გადაწყდება აღმოსავლეთის საკითხი.

მილიერანმა პალატაში განაცხადა, რომ საფრანგეთი კავშირს დაიჭერს რუსეთის კოოპერატივებთან და არა ბოლშევიკებთან.

მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩების კონფერენციამ დაადგინა პირდაპირ გერმანიის მთავრობას გადასცეს დამნაშავე პირთა გაცემის სია.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა ოდესა დაიკავა.

...ში იგზავნებოდნენ. დენიკინის წარმომადგენელმა თვითონ ბარათოვმა მოსთხოვა აზერბეიჯანის მთავრობას საბჭოთა წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობის მიღება. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო ის, რომ აზერბეიჯანის მინისტრმა უსუბბეგოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მოხალისეთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს და აზერბეიჯანს შორის მოეწყო რკინის გზის და საფოსტო მიმოსვლა. როგორც, დენიკინის ჯარები აზერბეიჯანის წინააღმდეგ მიიწევდენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ინგლისის გენერლების სიტყვიერ განცხადებას, რომელთაც ვითომდა დემოკრატიული ხაზი გაავლეს მოხალისეებისათვის. კიდევ ფაქტი: ინგლისის სარდლობამ დემარკაციული ხაზი გაავლო პეტროვსკიდან 5 ვერსით და შორებული. ამ დროს კი გენერალი დენიკინის ჯარები მდინარე სამურზე და იალმის სადგურთან გაჩერდენ. სექტემბერში ინგლისის სარდლობამ დაადასტურა დენიკინის ჯარების მიერ მოხდენილი ოკუპაცია მდინარე სამურამდე და არ მისცა აზერბეიჯანს მთავრობას არავითარი გარანტია მომავალში, რომ დენიკინის მხრიდან იგი უზრუნველ ყოფილი იქნებოდა. ამავე დროს ხან-ხოილის მთავრობა დაკმაყოფილდა დენიკინის და ინგლისელებისადმი ნოტის გაგზავნით და თავი შეიკავა მეფის გენერლების წინააღმდეგ ბრძოლისაგან. დაღესტნის მთიელთა, დენიკინის წინააღმდეგ აჯანყების დროს, უკანასკნელის წარმომადგენელმა გენერალმა პავლიცინმა მიიწვია თავისთან მინისტრი უსუბბეგოვი და რეპრესიებით დაემუქრა, რის შემდეგაც მინისტრი უსუბბეგოვი ცდილობდა გენერლის წინაშე თავის მართლებას და აუკრძალა დაღესტნელებს აზერბეიჯანის ტერიტორიით იმ იარაღის გატარება, რომელიც მას საქართველოს მთავრობამ დაუთმო. ყველასათვის ცხადია უსუბბეგოვის, ხან-ხოილის მთავრობის და ინგლისის სარდლობის კავშირი, რომელიც დროგამოშვებით მეტად ეველინებოდა დენიკინს და აჩუქეს კიდეც მოხალისეებს კარგად შეიარაღებული გემები კასპიის ზღვაზე იმ დროს, როცა აზერბეიჯანს გადასცეს მხოლოდ განიარაღებული გემები: „ყარსი" და „არდაგანი".

ამ გვარად, მინისტრ ხან-ხოილის მითითებიდან დენიკინისადმი ძველ დამოკიდებულებაზე სრულიადაც არა სჩანს, რომ უსუბბეგოვისა და ხან-ხოილის მთავრობას განზრახვა აქვთ იბრძოლონ ამ მეფის გენერლის წინააღმდეგ. მინისტრ ხან-ხოილის რადიო-დეპეშაში აღნიშნული პრინციპი არ ჩარევისა რუსეთში არსებულ ბრძოლაში შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც უარი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თუ უკანასკნელის ჯარები ბაქოსკენ არ გაილაშქრებენ. ნუთუ მინისტრი ხან-ხოილი ფიქრობს, რომ დენიკინისა და საბჭოთა მთავრობას შორის არსებულ ბრძოლას არავითარი კავშირი არა აქვს აზერბეიჯანის ბედთან? ნუ თუ მან არ იცის, რომ დენიკინისა და მასთან დაკავშირებულ ელემენტების პროგრამა გულისხმობს მთლიან, განუყოფელ რუსეთის აღდგენას ძველ საზღვრებში და სხვათა შორის, აზერბეიჯანის ყოველგვარ დამოუკიდებლობის მოსპობასაც; რომ ეს პროგრამა სპობს ყოველგვარ შესაძლებლობას თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება აზერბეიჯანის ხალხმა, გამოხატული იქნება აზერბეიჯანისა და მასში მობინადრე ხალხების თავისებურობა. ნუ თუ საიდუმლოებაა მინისტრ ხან-ხოილისათვის, რომ დენიკინის გამარჯვება მოასწავებს მეფის რეჟიმის აღდგენას, სხვათა შორის, აზერბეიჯანის საზღვრებშიაც? არ შეიძლება მინისტრ ხან-ხოილამდე არ მისულიყო მრავალრიცხოვანი განცხადებები საბჭოთა მთავრობისა, რომელშიაც უკანასკნელი პრინციპიალურად სცნობს ყველა ხალხების მშრომელ მასსის ნაციონალურ თვითგამორკვევის უფლებას. მან, უეჭველია, იცის აგრეთვე მრავალრიცხოვანი ფაქტები იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ეს პრინციპი. საბჭოთა მთავრობამ თავის არსებობის პირველ დღეებშივე სცნო ფინლიანდიის დამოუკიდებლობა და რამოდენიმეჯერ განაცხადა პოლონეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. მან პირველმა მისცა წინადადება საზავო მოლაპარაკების შესახებ ესტონეთს, ლატვიას და ლიტვას და უკვე შეუთანხმდა ესტონეთს მისი დამოუკიდებლობის უსათუოდ აღიარების შესახებ. მან უარი სთქვა ყველა უფლებებზე, რაც მას წინათ ეკუთვნოდა და რაც ავიწროებდა სპარსეთის, ჩინეთის და მონგოლეთის ხალხების სრულ თავისუფლებას. ბაშკირების, ყირგიზების და ყოფილ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სხვა ხალხების ინტერესების დასაცავათ საბჭოთა მთავრობამ ლოიალური ფართო ავტონომია.

აცხადებს რა განმეორებით, რომ საბჭოთა მთავრობა აზერბეიჯანის მიმართაც შეურყევლად განახორციელებს იმ საერთო პრინციპებს, რასაც ანხორციელებს სხვა ხალხების მიმართ,—რუსეთის მთავრობა იძულებულია ამასთანავე აღნიშნოს, რომ ხან-ხოილის მთავრობა არ შეხვდა თანაგრძნობით წინადადებას მეფის გენ. დენიკინის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისას, იმ დენიკინის წინააღმდეგ, რომელიც ხელყოფს უმხედებს აზერბეიჯანის დამოუკიდებლობას. მაგრამ იგი მაინც თავის წინადადებაზე დგას და იმედს გამოსთქვამს, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაყოფს გამოიღებს.

საგ. საქ. სახ. კომისარი ჩიჩერინი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბოლშევიზმი და საქართველო.

რუსეთიდან ამ ახლო ხანში თფილისში ჩამოსული ცნობილი ებრაელი მ. მანდელშტამი გაზ. „სლოვო"-ში, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„საქართველოს მთავრობა გაბედულათ მიდის რა სოციალური რეფორმების გზით, ამავე დროს საკმარის ნებისყოფას იჩენს, რომ ძალა-უფლება მოიხმაროს. იქ, სადაც საჭიროა ძალის გამოჩენა, მთავრობა სიტყვებს არ ხარჯავს. მან კარგად ესმის რა განსხვავება პოლიტიკურ თავისუფლების და მთავრობის ყოვლისშემძლეობის შორის. მთავრობას შესწევს იმის უნარი, რომ უმცირესობა უმრავლესობის ნების ყოფას დაუმორჩილოს. საქართველოს შინაური ბოლშევიზმისაგან არ მოელის საფრთხეს.

მე არ მგონია, რომ საბჭოთა მთავრობამ, თუ იგი შესძლებს მოხალისეთა და ჩრდილო კავკასიის ყაზახთა ოლქების დაპყრობას, ახლო მომავალში გაილაშქროს საქართველოს წინააღმდეგ. რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ საქართველო ნეიტრალიტეტს იცავს. რასაკვირველია, არც ის იქნება ბოლშევიკების მიერ მხედველობაში მიღებული, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. ბოლშევიკებმა თავიანთ სამშობლოში გაანადგურეს დემოკრატია და რათ დაინდობენ საქართველოს დემოკრატიას! ბოლშევიკებმა გაანადგურეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება და რის გულისთვის დაინდობენ საქართველოს დამფუძნებელ კრებას?

საბჭოთა რუსეთი მოიქანცა, სამოქალაქო ომი არ დამთავრებულა და ვინ უწყის როდის დამთავრდება. საბჭოთა რუსეთს ესაჭიროება დანგრეული მეურნეობის აღდგენა, რომელიც ევროპის დაუხმარებლივ შეუძლებელია. საბჭოთა რუსეთს ესაჭიროება შესვენება. და გვგონია ამ მიზეზით საქართველო რამოდენიმე ხნით უზრუნველყოფილია, რომ უცხო ქვეყნის ბოლშევიზმი არ შემოიჭრება მის ტერიტორიაზე.

დიდხანს გაგრძელდება ეს? ძნელია ამის გამოცნობა. საფრანგეთის რევოლუციაც თავის იდეით ნაციონალური იყო, მაგრამ მარსელიეზის რევოლუციონურმა ჰიმნმა მთელი ევროპა შემოიარა. საფრანგეთის რევოლუცია თავის ბუნებით ინტერნაციონალურია. მას არ აქვს საზღვრები. საფრანგეთის რევოლუციამ მოსკოვის კრემლამდე მოიწია და იქ ჩაქრა. ბოლშევიკური რევოლუცია აინთო კრემლთან, იგი ან მოედება მთელს კაცობრიობას, ან თავისთავად ჩაქრება.

ასე უყურებენ საქმეს ბოლშევიზმის ლიდერები. როგორც ანტისემიტიზმი არის სულელების სოციალიზმი, აგრეთვე ბოლშევიზმი არის სოციალიზმი ველური ხალხების. ევროპა—სადაც მრეწველობა განვითარებულია, ზურგს აქცევს ბოლშევიზმს. კრემლი კი თვალებს აღმოსავლეთისაკენ აპყრობს, საქართველო გზაზეა და ბოლშევიზმი შეეცდება მის დამორჩილებას. ის ამისათვის ნაცრთობ ხერხს მიმართავს: შეეცდება „შიგნით მოაწყოს აჯანყება".

შინაურ აჯანყებას ხელს შეუწყობენ, დაეხმარებიან საქართველოს საზღვარზე მომდგარი ბოლშევიკური ძალები. ბოლშევიზმს შესწევს დიპლომატიის უნარი. მეზობლებთან ის იწვევს აჯანყებებს.

ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოს ისტორიულ თავისუფლებასთან ერთად, საუკეთესო ზღუდეა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 თებერვალი

[illegible] ცნობები.

ფილონის ახლო ლიონის ექსპრესი დაეჯახა სამგზავრო მატარებელს; მომკვდარია 18 და დაჭრილი 34 კაცი.

გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად გამოუცხადა ფონ-ლერსნერს თავის მოქმედებისათვის, მაგრამ თვითონ კი იმ აზრისაა, რომ მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ხელშეკრულობას შპიცბერგენის შესახებ ხელს მოაწერენ მომავალ ორშაბათს პარიზში, გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში.

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობა მომავალ კვირაში ლონდონში აღმოსავლეთის საკითხის შესახებ მოილაპარაკებს. ამ მოლაპარაკებას დაესწრება აგრეთვე ნიტტიც. ხელშეკრულება შეიკვრება პარიზში, მას ხელს მოაწერს ოსმალეთის წარმომადგენელი.

მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ საფრანგეთის პალატაში, მილიერანმა შეკითხვებს უპასუხა. რუსეთის შესახებ მან განაცხადა: რუსის ხალხთან კოოპერატივების საშუალებით ჩვენ დავიჭერთ ეკონომიურ კავშირს, მაგრამ ამასთანავე სრულ ანტანტის გაუწყვეტლობაა საბჭოთა მთავრობისადმი დამოკიდებულების ძველი ხაზი დაიჭიროს. ვერსალის ხელშეკრულება შეურყევლად იქნება გატარებული. დაისვა ნდობის საკითხი. მთავრობას ნდობა გამოუცხადა 500, წინააღმდეგ 70.

შაბათ დილით გარეშე საქმეთა სამინისტროში შეიკრიბა ელჩების კონფერენცია. სხდომას თავმჯდომარეობდა მილიერანი. უნდა დაესრულებინათ ფონ-ლერსნერის მიერ განცხადებული უარის საკითხის გარჩევა. კონფერენციამ ერთი საათის მსჯელობის შემდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: დამნაშავეთა სია გერმანიის კანცლერს გადაეცემა გერმანიაში მყოფ საფრანგეთის რწმუნებულის საშუალებით. კონფერენციამ გამოიმუშავა იმ ნოტის ტექსტი, რომელიც გერმანიის მთავრობას გადაეცემა დამნაშავეთა სიასთან ერთად.

დამნაშავეთა სიაში მყოფ პირთა დიდმა ნაწილმა დასტოვა გერმანია. ფიქრობენ, რომ მრავალი მათგანი დაიმალება შვეიცარიაში. ზოგ იმედი აქვთ, რომ გერმანიის მთავრობა მხარს დაუჭერს და განაცხადებს რომ მათი გაცემა შეუძლებელია. „ლოკალ ანცაიგერი" აქვეყნებს ჰინდენბურგის და ლუდენდორფის განცხადებას, რომ ისინი უერთდებიან გენერალ ფონ-ბიულოვის შეხედულებას და პოზიციას იმისი შესახებ, რომ არც ერთი გერმანელი ნებაყოფლობით მოკავშირეებს ხელში არ მიეცემა.

შაბათ დილით მილიერანმა მიიღო ავსტრიის ფინანსთა და სურსათ სანოვაგის მინისტრები.

კამათი გარეშე პოლიტიკის შესახებ მილიერანის ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა. რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ მან განაცხადა: რუსის ხალხთან ეკონომიური დამოკიდებულების განახლება, სრულებით არ ნიშნავს ბოლშევიკების ცნობას, რომელნიც გერმანელთა აგენტებია, რომელთაც სურთ რუსეთზე და მთელ ევროპაში დიქტატურა დაამყარონ. მილიერანმა დაუმატა: ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს არავითარ შემთხვევაში არ ჩავერიოთ რუსი ხალხის შინაურ პოლიტიკაში. რაც შეეხება გერმანიას, ჩვენ მისგან მოვითხოვთ ყველაფერს, რაც ჩვენ საზავო ხელშეკრულობით გვეკუთვნის და რომ ამას მივაღწიოთ, ჩვენ არ დავერიდებით არც ერთ ძალდატანების ზომას, რომელიც კი ჩვენ საზავო ხელშეკრულობით გვაქვს მინიჭებული.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. თებ. 7 სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩრდილოეთით 20 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. წამოვიყვანეთ 200 ტყვეზე მეტი. ხელში ჩავიგდეთ 2 ექვსდუიმიანი ზარბაზანი და სხვა სამხედრო ქონება. მტრის კონტრიერიშებს ჩვენ კარგათ ვიგერიებთ. მურმანის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ. რეჟიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სოფლები აიღო. ბობრუისკის მიმართულებით სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 ვერსზე ჩვენ ბრძოლით რამოდენიმე სოფ. ავიღეთ. მტერი უკან დახევის დროს ადგილობრივ მცხოვრებთ სცარცვავდა. ოდესის მიმართულებით ზღვის ნაპირის ხაზზე ჩვენი შეტევა გრძელდება. კრასნოვოდსკის მიმართულებით 4 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სადგური იანგაჯი აიღო. ხელში ჩავიგდეთ მტრის ჯავშნიანი მატარებელი, 4 ზარბაზანი და სხვა სამხედრო ქონება, რომლის რაოდენობა ჯერ არ „გამორკვეულა. ხივის ჩრდილო-დასავლეთით 100 ვერსზე ხაჯი ავიღეთ. ჩვენ ჯარს მტრის 500 ცხენოსანი მოემატა. პეროვსკის გარნიზონის ცნობით ჯანი-ფოხანის რაზმები ჩვენმა ჯარმა დაამარცხა.

ფერგანის რაიონში ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 600 შეიარაღებული და 2000 უიარაღო ჯარისკაცი. დამატებითი ცნობით ჩვენმა ჯარმა ქალ. კრასნოვოდსკი აიღო.

მოსკოვი. 8—2 ჩვენმა ჯარმა ოდესა აიღო:

ლენინი სწერს: „სამოქალაქო ომს ჩვენ ვასრულებთ გამარჯვებით, ჩვენ დავამყარეთ პირველი ზავი ესტონეთთან. ორი წელიწადი ჩვენ ვსწავლობდით გამარჯვებას და გავიმარჯვეთ. ეხლა რიგი უსისხლო ომზეა, გამარჯვება უსისხლო ფრონტზე, ომი შიმშილის, სიცივის და სახადის საწინააღმდეგოთ, რომ გავიმარჯვოთ შიმშილზე, სიცარიელეზე, სიჭირეებზე, რომელიც იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა გამოიწვია; რაც უნდა დაჯდეს ცხოვრებაში შემდეგი წესრიგი უნდა გავატაროთ: თუ ომია, მაშ ომისებურად". მუშები და გლეხები, რომელთაც შესძლეს შეექმნათ გმირი წითელი არმია, შესძლებენ წითელი შრომითი არმიის შექმნას, აღადგენენ მიწის მუშაობას და მრეწველობას. ზინოვიევი სწერს: „ჩვენ შევძლით ეხლა ვსთქვათ, რომ ჩვენი რევოლუციის ხსნა ლოკომოტივებშია. ორი წელიწადი ჩვენ მტრის გენერლების დამარცხებას მოვანდომეთ. ეხლა ჩვენ საქმეს მოვკიდეთ. ხელი თუ მეგობრულათ მოვკიდებთ ხელს საქმეს, რამდენიმე მილიონი კაცი საბჭოთა რუსეთის სულ მოკლე ხანში ძნელი საცნობი შეიქნება. უნდა ხელში ავიღოთ მთავარი ლერძი—ეს ლერძია რკინის გზა. ლოკომოტივებზე ეხლა ყოველივე დამოკიდებული ორთქლმავალების შეკეთება ყველაზე უმთავრესი რევოლუციონური და პარტიული საქმეა. ორთქლმავალი არის ჩვენს დროის მთელი ფილოსოფია. კამენევი სწერს: „მოსკოვს დღეში 50 ვაგონი ხორბალი ესაჭიროება. მოდის კი არა უმეტეს 17-სა, რომ პური შემოვიტანოთ, საჭიროა ვაგონები, რომ ვაგონები წამოვიღოთ, საჭიროა ორთქმავლები. ორთქმავლები გადაარჩენენ მოსკოვს შიმშილისაგან. ციმბირში, თურქესტანში და ურალში დიდძალი სურსათია; როგორც მაგალითად, პური, თევზი და ხორცი, სწერს ზინოვიევი: „ეს საწყობები ხელშია, იმიტომ რომ მათი გამოტანა შეუძლებელია, აუცილებელია ტრანსპორტის მოწესრიგება.

ყაზანი 6 თებ. სრულიად რუსეთის ჩუვაშთა პირველმა ყრილობამ ლენინს მისალმების დეპეშა გაუგზავნა. ჩუვაშთა ყრილობა ფიქრობს, რომ მხოლოდ კომუნისტურ წესწყობილებას შეუძლია მონობიდან გამოიყვანოს ჩუვაშები.

ახალი ამბები

ქ. ქუთაისიდან მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: მრავალ რიცხოვანი საზოგადოება, შეკრებილი დამფუძნებელ კრების წევრის აკაკი ჩხენკელის მოხსენების მოსასმენათ, მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და მის თავმჯდომარე ერის ბელადს ნოე ჟორდანიას. თქვენი ხელმძღვანელობით გავიკვლიოთ გზა ევროპისაკენ. მთელი ერის გული თქვენთან არის. იყავით დღეგრძელი. კრების მონდობილობით, ქალაქის მოურავი რობაქიძე.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სტამბის პატრონებს, რათა თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წლის 16 დეკემბრის კანონისა, ხსენებულ სამინისტროს ეგზავნებოდეს გაზეთის და სხვა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების ორ-ორი ცალი.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარში.** 7 თებერვალს თფილისში, მეხუთე ათასეულის ბინაზე მოხდა ათასეულის ჯარისკაცთა თეატრის საზეიმო გახსნა. თეატრის გახსნას დაესწრენ სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის წარმომადგენლები პოლკ. ტ. ართმელაძე და ალ. ქორქლიანი, აგრეთვე ათასეულის მთელი ოფიცრობა. ჯარისკაცებს სამხედრო მინისტრის სახელით მიესალმა პოლკ. ართმელაძე. ჯარისკაცების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „ორი მზიური" და „ტკბილი ლეკვი", შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. ჯარისკაცებმა წაიკითხეს ლექსები და სცენები. ჯარისკაცთა ხორომ ლეიტენანტ ხირსელის ლოტბარობით შეასრულა ქართული სიმღერები. უკრავდა მეხუთე ათასეულის ორკესტრი. გახსნას ორკესტრმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი. მხიარულება დასრულდა 9 სახ. ს.

◆ **ქალაქის მოურავის განცხადებით,** გავრცელებული ხმები ელექტრონის სადგურების მუნიციპალიზაციის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია.

◆ **სათესლის საჭიროება.** მიწათ მოქმედების სამინისტროს ცნობით, თელავის, რაჭის, ქუთაისისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს დიდათ ესაჭიროება სათესლე ხორბალი. სტატისტიკური ცნობების მიხედვით ამ მაზრას დასჭირდება 1 მილიონი ფუთი სათესლე მასალა.

◆ **არხების გაწმენდა.** ყარაიაზის სახელმწიფო მამულში დაიწყო პირველ განყოფილების არხების კაპიტალური გაწმენდა. იქვე სახალხო გვარდიელებს გაუყვეთ ახალი არხი, რომელიც შემოუვლის ტბას და მორწყავს სახალხო გვარდიელების მიერ დახნულ 2000 დესიატინა მიწას.

◆ **უცხო კლასიკების თარგმნა.** წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სთარგმნიან უცხო კლასიკებს შემდეგი მთარგმნელნი: 1) ფრანგულიდან: ა. ივანე მაჭავარიანი, ბ) სახოკია, გ) ვახტანგ ღამბაშიძე. 2) გერმანულიდან—ნ. იმნაიშვილი, 3) ინგლისურიდან—ალია ნაკაშიძე. 4) რუსულიდან: ა. ფილავა, ბ) გრ. ყიფშიძე, დ) ნ. ნაკაშიძე, ე) ნ. გიგაური-გაბაშვილისა, ვ) ქ. ფირცხალაიშვილი და სტუდენტები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ავლაბარში და ერთობის უბნის განყოფილებებში ლექციების კითხვა რემონტის გამო დროებით შეწყვეტილია. ლექციების კითხვის განახლება გამოცხადებული იქნება.

დღეს, 10 თებერვალს წაიკითხავენ ლექციებს: 1 განყოფილებაში (ნაძალადევში) 1) ალ. ნაკაშიძე—„სწავლა-განათლების უმთავრესი საკითხები". 2) დ. ახმეტელი „საფრანგეთის რევოლუცია".

3) განყოფილებაში (ხიდურეთში) 1) ალ. წერეთელი „ისტორია", 2) ექ. ცაცხლაძე—„საზოგადო ჯანმრთელობაზე" ცენტრში (პლეხანოვის ქ № 123) 1) ექ. ტურიაშვილი „ჰიგიენა"; 2) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა".

— სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში ორშაბათს 11 თებერვალს ნარკეს კაკაბაძე დაიწყებს ლექციების კითხვას რუსულად საქართველოს ისტორიაზე.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა „საქართველოს მოკლე ისტორია" შედგენილი ს. კაკაბაძის მიერ. გამოცემა საქ ცენტ. კოოპ. კავშირისა. წიგნში წარმოდგენილია საქართველოს ისტორია, დაწყებული მე-16 საუკუნიდან ვიდრე დამოუკიდებლობის აღიარებამდის, შეიცავს 228 გვერდ. მოზრდილი ფორმატისას, თან დართული აქვს ისტორიული რუქა და ღირს 50 მან.

◆ **ქალაქის სასურსათო დუქნები.** ამ ჟამად სასურსათო განყოფილებაში სწარმოებს გაძლიერებული ორგანიზაციული მუშაობა სასურსათო დუქნების გადიდების შესახებ. განზრახულია დუქნების გაღება ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში, უმთავრესად ქალაქის განაპირა უბნებში, პირველი დუქანი გაიხსნა 7 თებერვალს მე-6 უბანში კახეთის ქუჩაზედ № 43.

ფრანგული ენის კურსები. სრ. საქართ. მასწავლებელთა კავშირის ბიურო აცხადებს თფილისელ მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომ საფრანგეთის მისიასთან გაიხსნა ფრანგული ენის უფასო კურსები. მასწავლებლებს პირობების გაგება და ჩაწერა შეუძლიათ წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის დირექ. ალ. წერეთელთან. (ვერმიშევის ქუჩა).

◆ **„ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო „ჯეჯილის" საიუბილეო (30 წ.) ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია მოთხრობები და ლექსები—შიო მღვიმელისა, ეკ. გაბაშვილისა, დ. კასრაძისა, დუტუ მეგრელისა, ანასტასია წერეთლისა, ალია ახალაშვილისა, ილ. გომართელისა, ალ. ფილოვისა, ივ. თიკანაძისა და სხ. ჟურნალი დამშვენებულია კარგი ქაღალდით, ჩართული აქვს „წარსულთა ხსოვნას"—სურათები „ჯეჯილის" მუშაკის და ამ გამოცემის თანამშრომლებისა.

◆ **სასურსათო განყოფილების ფართლეულობა.** თავისუფლების მოედანზე გახსნილ სადაზღვეულო მაღაზიის გარდა ორშაბათიდან (9 თებერვლიდან) სასურსათო განყოფილება ხსნის კახეთის ქუჩაზე № 7 კოოპერატივ აკერის ყოფილი შენობაში ახალ სავაჭრო მაღაზიას № 2. ამ დღეებში გაიხსნება აგრეთვე მესამე მაღაზია ვაგზლის მიდამოებში. სასურსათო განყოფილებამ ამ მაღაზიებისათვის მიიღო ახალი ფართლეულობა.

ახლო ხანში გამოვა იანვრის ნომერი.

— გულ დათუთქული დავსტირი ამხ. მიხეილ სიხარულიძის და ფილიმონ გოგოლაძის უდროოთ დაკარგვას. მათი პატიოსანი სახელი მუდამ დაუვიწყარი დარჩება ჩვენს ამხანაგებთა შორის. მწუხარებით ძვირფასო ამხანაგო. ადრიასიონ სიხარულიძე.

კ რ ე ბ ე ბ ი

სამშაბათს, 10 თებერვალს 2 ს. დანიშნულია არაჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის მე 7 რაიონულ კოლექტივისა.

— დღეს, საღამოს 6 ს. მუშათა სახლში დანიშნულია საქართველოს პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.

— დღეს, 10 თებერვალს სად. 5 ს. ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. 1—რაიონული ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ამხ. გვარდიელების კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

პროვინციის ქრონიკა.

გურჯაანის რაიონის [illegible] ვანი გვარდიელთა კრება თავის სახალხო შტაბის დაარსების დღეს მხურვალე სალამს უძღვნის მთავარ შტაბს და მთავრობის თავმჯდომარეს და ფიცს სდებს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით გამოესარჩლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სამუდამოდ. ყრილობის თავმჯდომარე ჯამბურიძე.

ჩაქვის ტყის მუშების საყურადღებოდ ცხადდება, რომ გაფიცვა მოხსნილია, მუშების მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. მუშას ეძლევა [illegible] 800 მანეთი. დანარჩენი პირობები წინანდელია. მუშათა კავშირის მონდობილობით აცანის კოლექტივი.

უცხოეთი

რ უ ს ე თ ი.

ბოლშევიკების აგენტები დენიკინის სამეფოში. გაზ. „ნოვოროსიისკ. ვედ.". გადმოცემით ბოლშევიკების სამხედრო რევოლუციონური კომიტეტი როსტოვში ჯერ კიდევ 16 დეკემბერს მოეწყო. ე. ი. ათი დღის წინათ ქალაქის დაცემამდე კომიტეტის არსებობაზე „მოხალისეთა" მზვერავ რაზმმა არაფერი იცოდა, თუმცა ის კი იცოდა, რომ ქალაქში ბოლშევიკები ცხოვრობდენ. ბოლშევიკებს ჰქონდა ტყვიამფრქვევები, თოფები და პატრონები, მაგრამ ეს სამხედრო მასალა მათ მოხერხებულად ჰქონდათ დამალული. საინტერესოა გარემოება, თუ როგორ ეჭერებოდნენ ბოლშევიკები „მოხალისეთა" მიერ აღებულ ქალაქებში თავიანთ აგენტების დატოვებას: ისინი ატყვევებდნენ ციხეში თავიანთ ამხანაგებს, რომელთაც ამასთანავე უტოვებდნენ დიდძალ ფულს. დატყვევებულნი თავიანთ თავს ბოლშევიკების მიერ დაჭერილ „ბურჟუებათ" აცხადებდნენ და როდესაც „მოხალისეთა" სარდლობა მათ ანთავისუფლებდა სხვებთან ერთად, ესინი შედიოდენ ჯარში, ან ადმინისტრაციაში და მოხერხებულად ასრულებდნენ „შპიონების" როლს.

ვალიუტით სპეკულიაცია ნოვოროსიისკში უმაღლეს ხარისხმადე ავიდა. ინგლისური გირ. სტერლინგი 5—6 ათას მანეთად ფასობს. დიდძალი ლტოლვილები მიემგზავრებიან სტამბოლში და საერთოდ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.

ნოვოროსიისკის სანავსადგურში შემოტანილი საქონელი საზღვარ გარეთიდან მაშინვე უკანვე გააქვთ და ისევ საზღვარ გარეთ გზავნიან.

გაზეთის ფასი. ეკატერინოდარის „უტრო იუგა" 16 იანვრის ნომერში აცხადებს, რომ ადგილობრივ გაზეთის გამომცემლებს დადგენილების თანახმად, მუშების, თანამშრომელთა და მოსამსახურეების ხელფასის მომატების გამო დღეიდან გაზეთი ეღირება, როგორც ეკატერინოდარში, ისე პროვინციაში ათ მან თითო ნომერი.

კოლჩაკის მთავრობის შესახებ ბოლშევიკების მიერ გავრცელებულ ცნობას თითქოს ომსკ-ტომსკის რკინის გზაზე მომხდარ კატასტროფის დროს, მთელი შემადგენლობა დაიღუპაო, ყუბანის საინფორმაციო ბიუროს ცნობით ლონდონის გაზეთები უარყოფენ. კატასტროფის დროს დაიღუპა მხოლოდ რამოდენიმე მინისტრი.

ვლ. პურიშკევიჩი. ნოვოროსიისკში პარტახტიანი ტიფისაგან გარდაიცვალა ცნობილი ვლ. პურიშკევიჩი. ბორ. სუვორინი „ვეჩ. ვრ."-ში უძღვნის რა განსვენებულს უდიდეს რუს პატრიოტს, აღნიშნავს, რომ არ მოკვდება ის იდეა, რომელსაც პურიშკევიჩი ემსახურებოდა.

დონის ფული. „ნოვაია ვრემიის" გადმოცემით ნოვოროსიისკის ბაზარზე არ ღებულობენ დონის ფულებს. განსაკუთრებით არ ღებულობენ ათასიანებს და ხუთი ათასიანებს.

დენიკინელთა ცნობები დაღესტნის შესახებ. ეკატერინოდარის „უტრო იუგას" თანამშრომელთან საუბრის დროს პოლ. დანილოვი ამბობს: აჯანყებულთა შორის არ იბრძვიან არც ოსმალო, არც აზერბეიჯანის და არც საქართველოს ჯარების რეგულიარული ნაწილები. ჩვენმა კონტრ-დაზვერვამ გამოარკვია, რომ აჯანყებულებს ეხმარებიან აზერბეიჯანი, საქართველოში და ოსმალეთში მოგროვილი მოხალისენი. სხვათა შორის, აჯანყებულებს ეხმარება ქართველი გენერლის [illegible] რესელიძის რაზმი, რომელიც წინათ სამეგრელოში (ვისკილი) მუშაობდა. ამ რაზმში არიან მოხალისე მეომრები—ქართველები, თუმცა ორგანიზაცია ამ რაზმის წმინდა სამხედრო ხასიათისაა. მთიელთა აჯანყებას ხელმძღვანელობს, თფილისში არსებული „თავდაცვის კომიტეტი", რომელიც წინათ არსებობდა. მთიელთა ხალხის მეჯლისის სახით მისცა რა თავშესაფარი ამ კომიტეტს თავის სატახტო ქალაქში საქართველომ. დიდ დახმარებას მაინც არ უწევს მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეტ დახმარებას უწევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიელებს ერზრუმში შემდგარი ნაციონალური კონგრესი, რომელიც შემდეგ სივასში გადავიდა. ადერბეიჯანი დიდ-ძალ ფულებს აძლევს მთიელებს. დღემდე ეს ხდებოდა საიდუმლოთ, მაგრამ დაბოლოს ადერბეიჯანის მთავრობამ ორჯერ გაატარა ეს ხარჯები პარლამენტში და საიდუმლოებაც გამოაშკარავდა. ეხმარებიან რა მთიელებს, არც ადერბეიჯანს, არც საქართველოს საზღვრებს არ აქვთ დახმარება გაუწიონ მ-თ იარაღის მიწოდებით.

დ ა ნ ი ა.

ხივალიუტო კრიზისი. კოპენჰაგენში მოეწყო განსაკუთრებული კომისია, რომლის მიზანსაც შეადგენს გამონახოს ზომები ბანკების წარმომადგენლებთან ერთად ვალიუტის კურსის ასაწევათ, რომელიც ძალზე დაეცა დოლლარისა და გირვანქა სტერლინგების კურსთან შედარებით. განზრახულია გადიდებულ იქნეს გატანა საქონლისა, ხოლო შემცირებულ იქნეს შემოტანა. მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას წინ ელობება ის გარემოება, რომ დანია იძულებულია დიდი ფასი გადაიხადოს შემოსაზიდ საქონელში, როგორიცაა, მაგ., ნახშირი და სხვა სურსათ-სანოვაგე; ხოლო საექსპორტო საგნებზე,—ერბო, ღორის ხორცი და სხვ., რომელიც უმთავრეს ნაწილათ ინგლისში გააქვთ, დაწესებულია მტკიცე ფასები, რაც საზარალოთ ხდის დანიის ექსპორტს. გარდა ამისა, დანიის კომერსანტებმა შეიძინეს დიდძალი საქონელი, რომლის გასაღებასაც ზავის შეკვრის შემდეგ ცდილობენ; მაგრამ რადგანაც იმედები არ გამართლდა და საქონელი ისევ საწყობებში აწყვია—კრიზისი კიდევ უფრო მწვავდება.

ა მ ე რ ი კ ა.

ბოლშევიკებისადმი ხიმპატიის გამო. ფრანგულ გაზეთებს ნიუ იორკიდან ატყობინებენ, რომ ამერიკის ელჩი დანიაში,—ნორმან გეპვუდი, რომელმაც თავისი მთავრობის ნებადაურთველად მოლაპარაკება გამართა საბჭოთა მთავრობასთან, დაკითხულ იქნა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ლანსინგის მიერ; დაკითხვის შემდეგ სამინისტრო აცხადებს, რომ გეპვუდი გადაყენებულია ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლის პოსტიდან.

ა რ გ ე ნ ტ ი ნ ა.

კრედიტი მოკავშირე სახელმწიფოებს. ბუენოს-აირესიდან მოსული ცნობებით არგენტინის პალატამ მიიღო პირველი ნაწილი კანონპროექტისა, რომლითაც არგენტინა აძლევს საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას 200 მილ. პესოს ოქროთი; მოკავშირეებს ეს სესხი ესაჭიროებათ არგენტინაში ხორბლისა და სხვა საქონლის შესასყიდათ.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი.

სრ. რუს. საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი დეკლარაცია გაუგზავნა პოლონეთის ხალხს.

ვარშავა. საგარეო საქმეთა სამინისტროს.

პატივი გვაქვს გამოგიგზავნოთ დეკლარაცია პოლონეთის ხალხის მიმართ, რომელიც რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო თებერვლის სხდომაზე გთხოვთ რაც შეიძლება ფართოდ გააცნოთ პოლონეთის ხალხს ეს ფაქტი.

„პოლონეთისა და რუსეთის მტრები არ კმაყოფილდებიან ამ ხუთი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის სისხლით მორწყვისა და კაცობრიობის დანგრევით, ეხლა ისინი ცდილობენ ეს ორი ხალხი ერთმანეთს დაუჯახონ. მათ ვერ შესძლეს,რომ რუსი გლეხები და მუშები რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელით დაეხრჩოთ. მათ ვერ შესძლეს ხალხისათვის დაედგათ ლატვიის, ესტონეთის და ფინეთის ბურჟუაზიული ჯარების უღელი. ეხლა მათ დარჩა უკანასკნელი იმედი, თითქოს პოლონეთის ხალხი ხელს შეუშლის რუს მუშებს და გლეხებს მათ შემოქმედებით მუშაობაში და თავისუფლებისა და თანასწორობისადმი მისწრაფებაში. ეს ენი არიან ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტები, რომელნიც საუკუნის განმავლობაში შეურაცხყოფდნენ იმას, თუ „ცარიზმი" როგორ სტანჯავდა პოლონეთის ხალხს და რომელნიც ომის განმავლობაში უკანასკნელ წამამდე მხარს უჭერდენ პოლონეთისადმი მეფის პარტიულ პოლიტიკას. ეხლა მათ თავის თავზე პოლონეთის დამცველის როლი მიიღეს.

მათი ცდა პოლონელების თვალში ხარეგისა გამომდინარეობს მათი პირველი მოსაზრებისაგან, თითქოს, რუსის ხალხი, რომელმაც გრძელი და მკაცრი ბრძოლების შემდეგ დაამარცხა კოლჩაკის, დენიკინის და იუდენიჩის კონტრრევოლუციური ძალები, პოლონეთის ჯარზე თავდასხმას ლამობს და პოლონეთის დასაღუპავად მიიწევს. ამ მომენტში, როდესაც ეს ინტრიგა პოლონეთისა და რუსის ხალხს ახალ უბედურებას უმზადებს, ჩვენ, რუსეთის მუშათა და გლეხთა კლასის წარმომადგენლები, მოგმართავთ თქვენ ამ ძმური სიტყვით. რათა გავამჟღავნოთ სიცრუე და ცილისწამება ჩვენი მტრებისა, რომელნიც თქვენი მტრებიც არიან და გავფანტოთ ის გაუგებრობა, რომელიც რუსეთისა და პოლონეთის ხალხთა შორის არსებობს. პოლონეთის მთავრობისადმი გაგზავნილი საბჭოთა წინადადებით ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ ჩვენ გვსურს არა პოლონეთის დაპყრობა, არამედ მასთან ზავი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმ შევიწროებებმა, რომელსაც რუსეთის მეფის მთავრობა პოლონელებს აყენებდა, მასში ჩანერგა რუსის ხალხისადმი ღრმა უნდობლობა, უნდობლობა, რომელიც, ალბათ, ხელს უშლის ზავის შეკვრასა და თქვენსა და ჩვენს შორის კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულების დამყარებას, და რომელსაც მთელი ქვეყნის... (დამახინჯებულია) .. თავის ეგოისტურ ინტერესებისათვის ექსპლოატაციას უკეთებენ, მაგრამ მეფის მთავრობის დანაშაული არ შეიძლება ახლა საბჭოთა მთავრობას დაებრალოთ. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა პოლონეთის დამოუკიდებლობა იცნეს არა მომენტის ზეგავლენით. მათ პირველად იკისრეს ეცნოთ პოლონეთის ხალხის დამოუკიდებლობა, მათ ეს მიიღეს უდავოდ და სამუდამოდ და მიიღეს იმის აშკარა შეგნებით, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა ერთსა და იმავე დროს ემსახურება როგორც თქვენ ისე ჩვენ ინტერესებს. რუსმა მუშებმა და გლეხებმა მოიშორეს მეფეობისა, კაპიტალისტებისა და მიქირავნეთა უღელი იმიტომ, რომ ეს ომ.ლებით დანგრეული რუსეთი, რომ გამოეცოცხლებინათ ქალაქები, დაეთესათ ყანები და აღედგინათ მადაროები და ქარხნები თავისი მკლავით და ცოდნით. რუსის ხალხი მშვიდობიან შრომას ესწრაფვის, მას უნდა ქვეყანა ისე მოაწყოს,რომ ხალხთა შორის მომავალში ომი არ განმეორდეს რომ მან ამ მშვიდობიანობას მიაღწიოს, ურომლისოდაც მას თავის პრინციპების გამარჯვება არ შეუძლია, რუსის ხალხი არა თუ უარს აცხადებს დაპყრობით პოლიტიკაზე, არამედ იგი ჯერ კიდევ ძლიერ კაპიტალისტებთან დაზავების გზასაც კი ადგენს, ოღონდ კი ზავი უზრუნველყოს (დამახინჯებულია). ის ეძებს ზავს ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან. ფართო დათმობებით იგი ეძებს ზავს ყველა პატარა ერთან, როგორიც არის მაგალითად: ესტონეთი, ლატვია და სხვ, რადგან მან კარგათ იცის, რომ ეხლა ყველა ქვეყნის მშრომელთათვის ისეთი აუცილებელი არაფერი არ არის, როგორც ზავი და ამიტომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პოლონეთის მუშები და გლეხები, რომელნიც შეჩვეულნი არიან ფიქრს, თითქოს ყოველგვარი რუსული პოლონელებს შეავიწროებს, ბოლოს და ბოლოს გაიგებენ, რომ ზავი პოლონეთთან ეს არის რუსის მუშებისა და გლეხების გულწრფელი სურვილი. კიდევ მეტიც. რუსი მუშები და გლეხები პრინციპიალურათ უარსყოფენ ყოველგვარ ნაციონალური შევიწროების პოლიტიკას, რადგანაც ამგვარი პოლიტიკა შეიძლება, ბოლოს და ბოლოს მათი თავისუფლების წინააღმდეგ იქნეს მიმართული.

ერობათა კავშირში

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა შუამდგომლობს ერობათა კავშირის კომიტეტის წინაშე, რათა ჭიათურის მცხოვრებთა საჭიროებისათვის გადაიგზავნოს 2 ვაგონი მარილი ნაღდ ფულად.

— ზუგდიდის სამაზრო ერობა ატყობინებს ერობათა კავშირს, რომ მაზრაში ძლიერ გახშირებულია დიფტერიტი. ამის გამო ერობის გამგეობა სთხოვს ერობათა კავშირს დაეხმაროს მას შრატი.

— ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ, თანახმათ 1919 წ 31 ივლისის დეკრეტისა, შემოიღო საფუთო გადასახადი, რომელიც იდება რკინის გზით ქალაქში შემოტანილ და გადატანილ ტვირთს. ვინაიდან საფუთო გადასახადის აკრეფა და ანგარიშების წარმოება უკისრნია რკინის გზის სამმართველოს, ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა სთხოვს ერობათა კავშირს, რათა უკანასკნელმა გაუგზავნოს მას 1919 წლის მისი ხვედრი ქალაქ ქუთაისის მიერ შემოღებული საფუთო გადასახადისა და აგრეთვე აცნობოს მას რა წესით შეიძლება შემდეგში ამ გადასახადისაგან შემოსული ფულის მიღება. ამასთან ერთად გამგეობა სთხოვს კავშირს აცნობოს იკრიფება თუ არა ქალაქ სამტრედიის სასარგებლოთ და თუ იკრიფება, მისი შემოსავლის ერთი მესამედიც უნდა გაუგზავნოს ქუთაისის სამაზრო ერობას, რადგანაც სამტრედია მის საზღვრებში შედის.

— მიწათმოქმედების სამინისტროს კანცელარიამ შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა ერობათა კავშირის კომიტეტს: „მიწათმოქმედების სამინისტრომ სხვადასხვა ერობებს სათესლე მასალის შესაძენათ მისცა საჭირო თანხა. როგორც ირკვევა, ერობები ამ ფულს სხვა საჭიროებებზე ხარჯავენ. გატყობინებთ რა ამას სამინისტროს კანცელარია, მინისტრის დავალებით, გთხოვთ მოახდინოთ შესაფერი განკარგულება, რომ სათესლე მასალის შესაძენათ მიცემული ფული ერობებმა სხვა საჭიროებისათვის არ დახარჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასამართლოში იქნებიან მიცემულნი".

ქალაქთა კავშირში

25 იანვრისა და 1 თებერვლის სხდომებზე ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტმა დაადგინა: დამტკიცებულ იქნას ორივე ცენტრის, ერობათა კავშირისა და ქალაქის კავშირის შეერთება იმ პირობით, თუ ერობათა კავშირი შეერთების ფონდში შეიტანს იმდენივე ქონებას, რამდენსაც ქალაქთა კავშირი.

— აღმასრულებელ ბიუროს დადგენილება, სახ. გვარდიის დღის აღსანიშნავად სტიპენდიის დაარსების შესახებ, დამტკიცებულ იქნას.

— დავალოს აღმასრულებელ ბიუროს შეადგინოს კომისია, რომლის მოვალეობა იქნება ქალაქთა საბიუჯეტო უფლებების კანონ პროექტის განხილვის და დამუშავების ხელმძღვანელობა. მასვე უფლება ექნება ამ მუშაობის დროს საჭირო ხარჯი გაიღოს.

— კომიტეტი საჭიროდ სცნობს შეუდგეს მუნიციპალურ ბანკის დაარსების საქმეს, რისთვისაც აღმასრულებელ ბიუროს დავალა ამ საკითხში შეუთანხმდეს ფინანსთა სამინისტროს და საზოგადო დაწესებულებებს, რათა ბანკის გახსნის ინიციატივა ქონდეს ქალაქთა კავშირს.

— ორივე ცენტრის (ქალაქთა კავშირის და ერობის) გაერთიანება შესაძლებელი იქნება იმ პირობით, თუ ყველა კონცესიები, როგორც მომავალი, აგრეთვე ეხლანდელი თვითეულ ცალცალკე მიცემული, გადაეცემა გაერთიანებულ ორგანოს განკარგულებაში და სტეუო განყოფილება კი დარჩეს ქალაქთა კავშირს

— დამტკიცებულ იქნას აღმასრულებელ ბიუროს დადგენილება ქუთაისსა და ხონს შუა საავტომობილო მიმოსვლის შესახებ.

— ვინაიდან ერობათა კავშირმა უარი განაცხადა ჟურნალის საერთოდ გამოცემის შესახებ, ჟურნალის გამოსვლა არ შეჩერდეს და დაერქვას მას „ჩვენი ქალაქი".

დონში და ყუბანში

უმაღლესი „კრუგი".

12 იანვრის სხდომა.

ყუბანის გაზეთებში მოთავსებულია იმ სხდომათა ანგარიშები, რომლებიც სწარმოებდა მთავრობის შესადგენათ.

როგორც ამ ანგარიშებიდან სჩანს, მხოლოდ თერგის ყაზახობა ყოფილა წინააღმდეგი საკავშირო სახელმწიფოების შექმნისა. ისინი მოითხოვდენ ძალა-უფლების სავსებით გადაცემას გენ. დენიკინისათვის. ამის წინააღმდეგნი იყვნენ დონის და ყუბანის ყაზახობის დიდი უმრავლესობა.

თერგის დეპუტატის მაზარინის აზრით სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა თითქოს 9 მილიონ ყაზახობას შეეძლოს 200 მილიონი რუსობის დაპყრობა. ყაზახებმა მხოლოდ იმიტომ გაილაშქრეს საბჭოთა რუსეთზე, რომ გაენთავისუფლებინათ ის ბოლშევიკებისაგან, მაგრამ ეს განთავისუფლება არ მოხერხდა იმიტომ, რომ როცა გლეხთა მობილიზაცია იყო გამოცხადებული ერთის მხრით, მეორე მხრიდან ამავე გლეხებს თავს დაესხა დამსჯელი რაზმები და თითოეული დესეტინა მიწიდან დაუწყო 2 ათასი მანეთი იჯარის გადახდევინება. ერთი მთავარი მიზეზი ფრონტის შლისა იყო ის, რომ ჩვენ, ყაზახები ხალხს ვძარცვავდით, ყველა ვაგონები—როგორც ღია, ისე დახურული, სავსე იყო ნაძარცვი საქონლით. რომ მტერს ვსძლიოთ, მისი აზრით ამისათვის საჭიროა ახალი მთავრობა, ახალი კავშირი ყაზახთა, მაგრამ რუსეთის მთავრობაში არავითარ ყაზახთა ჰეგემონიაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

დონის დეპუტატი აგეევი, რომელიც ლაპარაკობს დონის „კრუგის" მემარცხენე ფრთის სახელით, ამბობს, რომ სრული რუსეთის დამფუძნებელი კრება იქნება რუსთა ნაციონალური იდეის დამცველი. სამხრეთ აღმოსავლეთისათვის აუცილებელია რუსეთის სახელმწიფო; თუ ის არ იქნა, ისე ყაზახებს სული ამოხდება, ჩვენ უარვყოფთ იმ გზებს, რომლითაც ბოლშევიკებს ან სხვებს სურთ მთლიანი რუსეთის შექმნა. ჩვენ სავალდებულოდ მიგვაჩნია მხოლოდ იმას, რასაც ხალხი გვიკარნახებს და რაც შემდეგში თანდათანობით გატარებული იქნება ცხოვრებაში დამფუძნებელი კრების და განაპირა მმართველობათა მიერ. დიდებულია გამაერთიანებელი იდეა რუსული ნაციონალური იდეა, მაგრამ არა ნაკლებათ სოციალური განწმედლობაც.

დამფუძნებელ კრებას იმდენათ დაუჭერს ხალხი მხარს, რამდენათაც ის დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებებს. ჩვენ ერთსულოვნად შეგვეძლია განვაცხადოთ, რომ ყაზახთა დახმარებით რუსის მემამულე ვერ აღსდგება მკვდრეთით და ვიდრე ყაზახობა ცოცხალია, რუსეთში მემამულეები ვერ გაჩნდებიან. თერგის დეპუტატის საპასუხოთ აგეევი ამბობს,—რუსეთი იქნება მთლიანი და დიდი, მაგრამ კითხვა იბადება,—როგორ შეგვიძლია ეს საქმე შევასრულოთ. ამისთვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენ ვაშენებთ საკავშირო სახელმწიფოს, რომლის კარები რუსეთისათვის დაკეტილი არას დროს არ იქნება. ის შედიოდა და შევა რუსეთის სახელმწიფოში, როცა იქ მოწყობილი იქნება დამფუძნებელი კრება. თერგელები ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობა თუ არ შესდგა, ისე ისინი ვერ გადასჭრიან თავიანთ სასარგებლოთ ეროვნულ საკითხებს თერგის ოლქში. ხელისუფლების მთავრობის შექმნისაკენ მიისწრაფვის ყოველი ჩვენგანი, მანამდე კი დონი და ყუბანი დაეხმარება თერგს ყოველგვარ საშუალებით. აგეევის თქმით, არც ისაა მართალი, თითქოს საკავშირო მთავრობის შექმნით მოხალისეთა მთავარსარდლობას გვერდზე სტოვებდნენ. ჩვენ შეგვიძლია შევუთანხმდეთ მთავარ სარდლობას ან სხვა ვინმეს, თუ ის იბრძოლებს რუსეთის დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ, იქნება მომხრე ხალხს გადაეცეს მიწა და იბრძოლებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

აგეევის სიტყვით კამათი დამთავრდა.

საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარდგენილ დებულება უმაღლესი „კრუგისა" შეიცავს შემდეგს: „დონის, ყუბანის და თერგის უმაღლესი „კრუგი" უზენაესი ძალა-უფლებაა დონის, ყუბანის და თერგის სახელმწიფოსათვის საერთო საქმეებში".

შენიშვნა: „საერთო საქმეების ნუსხა, რომელიც უნდა დაექვემდებაროს უმაღლეს „კრუგს", წინასწარ გარჩეულ უნდა იქნას ცალკე ჯარებში (დონში, ყუბანში, თერგზე). შემდეგ ეს ნუსხები შეთანხმებული იქნება საკონსტიტუციო კომისიის მიერ და წარედგინება დასამტკიცებლათ უმაღლეს „კრუგს".

თერგის დეპუტატები სხვადასხვა შესწორებებით ცდილობდნენ საკითხის გადადებას. ამის გამო გენ. იანოვი აცხადებს, რომ თერგელები ეს ორი დღეა მუშაობაში ხელს უშლიან უმაღლეს „კრუგს". მისი აზრით, 250 ათასიანი ჯარი ძალდატანებას ახდენს 4 მილიონ ჯარზე. როცა წინ გვიდგას უდიდესი ყუბანის საკითხი, იტალიური გაფიცვის მოწყობა შეუწყნარებელია.

ზემო მოყვანილი „დებულება" მიღებულ იქნა 93 ხმით 28 წინააღმდეგ, 7 თავი შეიკავა.

თავმჯდომარის წინადადებით „კრუგის" ხარჯებისთვის გადადებულ იქნა 3 მილიონი მანეთი. კრუგის თითოეულ წევრს დაენიშნა დღიური ხარჯი 300 მ.

დაბოლოს „კრუგმა" მოწოდებით მიმართა ყაზახთა ჯარებს, სადაც სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „გახსოვდეთ ძვირფასო ძმებო, რომ მხოლოდ თქვენი გამარჯვება მოგიტანთ თავისუფლებას, დამარცხება კი მონებათ გაგხდით".

გენ დენიკინის მიწვევა „კრუგის" მიერ.

14—(27 იანვარს) უმაღლესმა „კრუგმა" დაადგინა გენ. დენიკინის მოწვევა სხდომაზე. ამ მიზნით „სტავკაში" გაიგზავნა „კრუგის" პრეზიდიუმი. დენიკინმა „კრუგის" წინადადება მიიღო და ჩავიდა ეკატერინოდარში.

დენიკინის სიტყვა *).

დღეს, როდესაც ჩვენ დამარცხებული ვართ, ყველა ეძებს ამ დამარცხების მიზეზს. მემარჯვენეები ამის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ არ იქნა მტკიცე გატარებული მათი პროგრამა; მემარცხენეები—რეაქციონერ მთავრობას სდებენ ბრალს. ერთნი დამარცხების მიზეზს „დამოუკიდებლობისაკენ" მისწრაფებებში ხედავენ; მეორენი იმაში, რომ ანგარიში არ ეწეოდა ახალ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების უფლებებს, მესამენი—მთავარ სარდლობას აკისრებენ პასუხის მგებლობას; ყველანი ერთად კი—მიზეზათ სამხედრო ნაწილებში გავრცელებულ ძარცვა გლეჯასა და უწესოებას ასახელებენ, ასახელებენ ისეთებიც კი, რომელნიც თვითონ უწყობდენ ხელს ამ მოვლენას. და ეხლა, როდესაც ყოველგვარი შეუზრდელობით იწვის პოლიტიკურ ვნებათა ღელვის ცეცხლში, მე უყურადღებოთ ვტოვებ ყველა შეცდომებს და ყოველგვარ სოციალურ პოლიტიკურ მიდრეკილებას. წარსულის გაკვეთილების შემდეგ ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალები და გამოვასწოროთ დიდი თუ პატარა, ნამხით თუ უნებლიეთ შეცდომები სამშობლოს წინაშე, რომელიც წარმოუდგენელ წამებას განიცდის და ელის ხსნას.

რა მოხდა ფრონტზე? თუ ვიანგარიშებთ შეფარდებით მტრის ჯარი რიცხვით გაცილებით მეტი იყო ჩვენზე და ჩვენი ჯარები უკან იხევდენ—როსტოვ-ნოვოჩერკასკთან, ჩვენდა სამარცხვინოთ ვხვდებოდით მტერს, როგორც ტექნიკით ისე რიცხვით; მაგრამ ჯარის სულიერი ძალა დაცემული იყო. ჩვენ ვიხევდით იმიტომ, რომ ჩვენ ჯარში შეუჩერებელი აგიტაცია სწარმოებდა, რომელიც სცემდა სარდლობის ავტორიტეტს და ჩრდილავდა ბრძოლის მიზანს. და აი, დეკემბრის დამდეგს კუბანსკის სამხრეთით დაიშალა ყაზახთა ცხენოსანი რაზმები, რომლებსაც მთელი ჯარის ბედი უნდა გადაეწყვიტათ. როსტოვთან ბრძოლა სწარმოებდა, ხოლო ბატაისკთან მე ვნახე ლამაზი უზრუნველყოფილი მყოფ ჯანმთელ მხედრებს საუკეთესო ცხენებით. კიდევ უფრო მტკიოდა გული იმ „მოხალისეთა" ბედზე, რომელთაც შეეძლოთ ყირიმში წასულიყვნენ; მაგრამ მოვალეობის შეგნებით დონზე წავიდნენ, რომ ყაზახებთან ერთად თავისი მკერდით დაეცვათ დონი. გული მტკიოდა იმ მეომრებზე, რომელნიც ბრძოლის ველზე დაეცნენ, ხოლო გამარჯვება ვერ იხილეს. ეს იყო წარსულში.

ახლა ფრონტი გამოსწორდა და გამაგრდა. დონის ფრონტზე მტერი რიცხვითაც კი საგრძნობათ ვერ გვჯობნის. ყაზახთა ცხენოსანმა ნაწილებმა ამას წინად დაამარცხეს ბუდენის რაზმები; გუშინ კიდევ მივიღეთ ცნობა, რომ მამაცმა დონელებმა დაამარცხეს დუმენკის ცხენოსანი რაზმი, რომელმაც დასტოვა ნაწილი თავისი არტილერიისა. „მოხალისეთა" კორპუსებმა ორი კვირის განმავლობაში მოიგერიეს მოწინააღმდეგეთა თავდასხმები და გადაარჩინეს ფრონტი. თერგელებმა გარეკეს მტერი ყიზლიარის ოლ.თ. ყირიმსა და ნოვოროსიისკს „მოხალისენი" იცავენ. მოსალოდნელია კიდევ დამარცხდეთ, მაგრამ მტრის შემდეგი წინსვლა არ იქნება საშიში, ვინაიდან ყუბანის ჯარის ნაწილები გადიან ფრონტზე იქ, სადაც ჩვენ თითქმის არა გვყავს არავითარი ძალები. მართალია, საკვირველი არ არის, რომ ყველა ყუბანის ნაწილებიდან ფრონტზე მხოლოდ 2 ნახევარი ცხენოსანი დივიზია და 3 პლასტუნთა ბრიგადა (2 ნახევარი ათასი ცხენოსანი და 6 ათასი ქვეითი ჯარის კაცები) სდგას? სამწუხაროთ, დიდ ღვთელი პროპაგანდა განაგრძობს თავის დამღუპველ მუშაობას. ხოპერის რაზმების უარი ფრონტზე წასვლაზე და მეტ ჯარის კაცების მიერ თავიანთ ნაწილების დატოვება,—ეს ყველა ნაყოფია ეკატერინოდარის მოწამლულ ატმოსფეროსი.

რა ძალას წარმოადგენენ ახლა ბოლშევიკები? მე არ გამოვსთქვამ ჩემს აზრს, მოგიყვან მხოლოდ იმ დეპეშებს, რომელიც ტროცკიმ გაუგზავნა სამხრეთ ფრონტის რევოლუციონური კომიტეტის კრებაზე. ის ამბობს: „სურსათ-სანოვაგის უქონლობა, ტრანსპორტის დაშლა, შიმშილი, ხილვა, ყრუ და აშკარა უკმაყოფილება ჩვენდამი მასსის მხრივ,—ყველაფერი ეს დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის, რასაც მთავრობა ვერ შესძლებს ბოლო მოუღოს ომის გათავებამდე. მოწინააღმდეგე სრულიად განადგურდა; საკითხი იმაშია, ვინ უკეთ შესძლებს ამ ზამთრის გადატანას; არც ჩვენ შეგვიძლია გადავიტანოთ იგი, არც მოწინააღმდეგეს; ამიტომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა განვაგრძოთ თავდასხმა".

რას აკეთებს ზურგი მებრძოლთა გასამხნევებლათ? ეკატერინოდარმა მიატოვა რუსეთი, შეადგინა ყაზახთა სახელმწიფო, აწყობს დამოუკიდებელ ჯარს და ემზადება აიღოს თავის ხელში სრული სამხედრო და სამოქალაქო ძალა-უფლება სამხრეთ-აღმოსავლეთში.

მხოლოდ ერთი გარემოება არის მიღებული მხედველობაში,—ის, რომ „მოხალისეთა" ჯარი და მთავარი სარდალი ემსახურებიან რუსეთს, და არა უმაღლეს „კრუგს". მიუხედავათ ამისა, ეკატერინოდარის სიტყვებმა უკვე გააკეთეს თავისი საქმე. ფრონტზე შეირყა რწმენა ბრძოლის განგრძობისა. ჯარის ხელმძღვანელები მუშაობენ მუშაობა მეტად ძნელ ვარემოში. ფრონტიდან შინისაკენ იხევენ, რაც ბრძოლას მეტად აფერხებს. თანდათან ვრცელდება ფრონტზე ლოზუნგები, რომლებიც არყევენ ბრძოლის იდეას, რომელსაც შეიარაღებამ ათასობით შესწირეს თავიანთი სიცოცხლე. ბოლოს გამოუცდელობით იშლება ორგანიზაცია, რაც შეუძლებლათ ხდის დასახულ მიზნების მიღწევას. მთელი ჩვენი ბრძოლა მთლიან რუსეთისა და მთლიან ჯარის ლოზუნგის ქვეშ სწარმოებდა. კორნილოვი, ალექსეევი, კალედინი, მარკოვი და სხვა დიდი თუ პატარა რუსი ადამიანები, თავს სდებენ ამ იდეისთვის. მხოლოდ ამ იდეას შეეძლო შეექმნა რაზმი პირველ ყუბანის ბრძოლაში; მხოლოდ ამ იდეამ მოგვცა საშუალება დაგვეძრა ყუბანელები ... კენ, შევეერთებია ... ჩრდილო კავკასიის; და ... იდეის დავიწყებამ მიგვიყვანა იმ ფაქტამდე, რომ ოფიციალურ აქტში თითქმის რუსეთის სახელიც კი გამოტოვეს. რუსეთის მთლიანობა,—მხოლოდ ამ მთლიანობით, მჯერა და შეიძლება, მართლაც მოწყობილი მთლიანობით, შეეძლება მე დავიცვა რუსეთის სახელი და ღირსება და მაშინ დიდი დამარცხება, დავიცვა იგი გარედან თავდასხმიდან, რაც გამიზნულია არის ბედით ყველა მცირე სახელმწიფოებისათვის.

მოკავშირეთა წინადადებაზე,—გამომერკვია ჩემი დამოკიდებულება განაპირა მთავრობების მიმართ,—მე აშკარა და ნათელი პასუხი გავეცი:

1) მე ვსცნობ განაპირა ფაქტიურ მთავრობების დამოუკიდებელ არსებობას, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

2) განაპირა მხარეების მომავალი დამოკიდებულება რუსეთთან გამორკვეული იქნება მოლაპარაკების საშუალებით სრულიად რუსეთის მთავრობისა და განაპირა მთავრობებს შორის; მოლაპარაკება შესაძლებელია მოკავშირე სახელმწიფოების შუამდგომლობით ხდებოდეს.

3) რადგანაც კონფერენციამ 1 იანვრისთვის ერთგვარი დამოკიდებულება გამოხატა საქართველოსა და ადერბეიჯანის მიმართ და ამის გამო იქ ის აზრი დაიბადა, თითქოს ეს არის ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობა,—მე ამის შესახებ პროტესტი განვაცხადე, მაგრამ დღეს მე მივიღე ოფიციალური განმარტება, რომ მოკავშირეებმა იცნეს არა ამ განაპირა მხარეების დამოუკიდებლობა, არამედ—ფაქტიური მთავრობები, ე. ი. ისე, როგორც ამას ჩემი წინადადება გულისხმობდა. ეს არ არის მიუკერძოებლობა, ეს არის ანგარიშის გაწევა რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებისა და ეს პასუხი სრულებითაც არ უარყოფს მათთან კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების დამყარებას.

საკითხმა, რომელმაც 12 დეკემბერს აიღო თავი ჯარის ყველა ნაწილების უფროსების კრებაზე, ნათელი მოჰფინა ფრონტის მდგომარეობას და სულიერ განწყობილებას. ყველამ ერთხმულოვნათ განაცხადა: 1) ბრძოლის განგრძობა შესაძლებელია და საჭიროც და იმედს იძლევა გამარჯვებისას; 2) აუცილებელია გაყვანილ იქნეს ფრონტზე ყუბანის ჯარის ნაწილები, რათა მათ დაიცვან ფრონტის სრულიად გატიტვლებული ადგილები; 3) დონისა და ყუბანის არმიებს აქვთ უფლება არსებობისა თავიანთ ისტორიულ დამახასიათებელ ძალით; მაგრამ ამასთანავე ისინი შეადგენენ ნაწილს რუსეთის ჯარისა და უკანასკნელს უფლება აქვს გამოიყენოს ისინი იქ, სადაც საჭირო იქნება.

თუ ეს მთლიანობა არ იქნა დაცული, ბრძოლის განგრძობა წარმოუდგენელია. შეუძლებელია კიდევ გაგრძელდეს ის გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელშიაც ჩაყენებულია ჯარი. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაწყდეს საკითხი მთავრობის შესახებ, ვინაიდან „მოხალისეთა" ოფიცრობა მზათ არის თავი შესწიროს მთლიან რუსეთს, მაგრამ მარტო ყაზახობისათვის იგი არ იბრძოლებს. ეს მოსაზრება მტკიცეთ იყო ნათქვამი არა მარტო „მოხალისე" ოფიცრების მიერ, არამედ—დონის და ყუბანის ჯარის ხელმძღვანელთა პირითაც. 4) „მოხალისეთა" ჯარი, ჯარის ნაწილები, რომლებიც ყაზახთა არმიაში შედიან და რუსი ოფიცრობა არ დაემორჩილება ადგილობრივ ძალა-უფლებას. 5) ჩრდილო კავკასიის ხალხები უმაღლეს „კრუგის" ძალას არ სცნობენ.

თუ კი, მიუხედავათ ამისა, უმაღლესი „კრუგი" მაინც გამოიტანს საბედისწერო გადაწყვეტილებას, უარს იტყვის საერთო მთავრობის შედგენაზე და შექმნის ყაზახთა სახელმწიფოს, კერძო ჯარს და მიზნათ დაისახავს მხოლოდ თვითდაცვას,—მაშინ ვერც მე და ვერც „მოხალისეთა" ჯარი აქ ვერ დავრჩებით.

უნდა მოიძებნოს რუსეთის ხსნის სხვა გზები. მე შევეცდები გადავწყვიტოთ საკითხი ახალი მომავალისა, რომელიც დაკავშირებული იქნება ყაზახთა და „მოხალისეთა ოფიცრების სხარტულ მოხ... ენებებზე. მე „მოხალისეთა" ჯართან ერთად წავალ. წავლენ ყველა „მოხალისეთა" ოფიცრები, რომლებიც სამსახურს ეწევიან ყაზახთა ტექნიკურ რაზმებში. ჩვენთან ერთად წავლენ საგრძნობი ნაწილი ყაზახთა ჯარების ხელმძღვანელებისა და ის ყაზახობა, რომელსაც ბოლშევიკების ეშინია. მე ვერ დავფარავ, რომ მე თუ წავალ, თან წავიღებ მწუხარებას იმის გამო, რომ დაიმსხვრა იმედები, დაიმსხვრა ოცნება იმ ყაზახობისა, რომელთანაც ამდენი ხანია პურსა და ღვინოს ვიზიარებდი.

რაღა უნდა დაირღვეს ცხოვრება? რა შეერთებული უთანხმოება დაიბადა „მოხალისეთა" სარდლობასა და ყაზახობას შორის? რატომ შეიქმნა მიულევ

---

*) ეს სიტყვა წინა ნომერში შემოკლებით გვქონდა მოყვანილი. დღეს იბეჭდება სრულად. რედ.

ლი ეხლა ის დებულება, რომელიც ასეთი სიძნელით იქნა გამომუშავებული სამხრეთ რუსეთის კონფერენციაზე? რად უნდა დაუქვემდებაროს სამხრეთი რუსეთი პატარ-პატარა სახელმწიფოებათ, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ საერთაშორისო პოლიტიკაში?

მე ვაწარმოებ ბრძოლას რუსეთისთვის და არა ძალა უფლებისათვის. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, რუსეთისათვის ბრძოლა წარმოუდგენელია, თუ მთავარსარდალი არ იქნა აღჭურვილი სრული ძალა-უფლებით. ეს ძალა-უფლება არ შეიძლება იყოს კომპრომისული.

დღეს მე ასე ვფიქრობ:

1) მთლიანი, დიდი, განუყოფელი რუსეთი; 2) დონისა და ყუბანის ჯარები წარმოადგენენ განუყოფელ ნაწილს მთლიან რუსეთის ჯარისა და ემორჩილებიან ერთ კანონებსა და ერთ მთავრობას; 3) ბოლშევიკებთან ბრძოლა ბოლომდე; 4) განაპირა მხარეების ავტონომია და ფართო ავტონომია ყაზახთა ჯარებისა, რასაც მათი ისტორიული დამსახურება ამართლებს, ფართო თვითმართველობა გუბერნიებისა და ოლქების.

5) ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც აწარმოებს საერთო სახელმწიფოებრივ საქმეებს და შესდგება პატიოსან და ზომიერ ელემენტებისაგან, ყაზახთა ჯარის ინტერესების სრული დაცვით მათი წარმომადგენლების სახით.

6) წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელსაც სათათბირო ხასიათი ექნება.

7) მიწა გლეხებს და მშრომელ ყაზახობას.

8) ფართოთ უზრუნველყოფა მუშათა პროფესიონალურ ინტერესებისა.

9) სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც აწესებს მართვა-გამგეობის ფორმას სახელმწიფოში.

და ბოლოს მე შევეხები ზრახვას იმათ, ვინც ჩვეულია სხვის სულსა და გულში ხელების ფათურს და გამოუძიებელ ჩემ შეხედულებას ცნობიერების უღრმეს მტკივან და ინტიმიურ ადგილის შესახებ: სამშობლოს ბედნიერებას მე ყველაფერზე მაღლა ვაყენებ. მე ვმუშაობ რუსეთის განთავისუფლებისათვის.

მართვა-გამგეობის ფორმას ჩემთვის მეორე — ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თუ კი ბრძოლა მართვა-გამგეობის ფორმის გარშემო იწარმოებს, მე მასში მონაწილეობას არ მივიღებ. მე აქ ძალას არ ვატან ჩემს სინიდისს. მე ერთნაირათ შესაძლებლათ ვთვლი ვემსახურო რუსეთს როგორც მონარქიის, ისე რესპუბლიკის დროს; მხოლოდ ვიცოდე, რომ რუსეთის ხალხის უმრავლესობას სურს ესა თუ ის ფორმა. და დამერწმუნეთ, რომ ჩვენ მიერ წინასწარი გადაწყვეტა საკითხისა ზედმეტია. ხალხი თითონ იტყვის და იტყვის ისეთის სიძლიერით და ერთსულოვნობით, რომ ჩვენ, ყველა დიდ და პატარა კანონმდებლებს ის და დაგვრჩება, რომ ქედი მოვიხაროთ მისი მპყრობელი ნების წინაშე.

აი ის აზრები, რაც სრულის გულწრფელობით მსურდა მე თქვენთვის გამეზიარებია. თუ კი შესაძლებელი იქნება მომავალში ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიაროთ ყაზახობასთან,—ეს სიხარულით ვიყავი, დარწმუნებული იმაში, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება. და თუ კი არა—გავიყაროთ და დიდი, ღმერთმა და რუსეთმა გაგვასამართლოს.

ს.-დ. პარტიაში

გორი. 22 იანვარს, საღამოს 5 ს. შესდგა ს. ს. დ. მ. პ. გორის კომიტეტის სხდომა. თავმჯდომარეობდა მ. კობერიძე, მდივნობდა ი. რუხაძე. კრებამ დაადგინა დაიბეჭდოს წასული წლის ანგარიში რაიონებისათვის 100 ცალი. კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცეს ახალ. მარ. ორგანიზაციას, რისთვისაც არჩეულ იქნა კომისია შემდეგ პირთაგან: მ. კლიმიაშვილი, ი. რუხაძე, და ბ. გაჩეჩილაძე, რომელთაც მიენდო ააღდგინონ ახალ. მარქ. ორგანიზაცია.

ვახტანგი.

ხალ. ბორჯომი. 20 იანვარს ამხ. ახალა ჩიხლაძის თავმჯდომარეობით შედგა ბორჯომის რაიონის რკინის გზის ს. ს. დ. მ. პ. იაჩეიკების შეერთებული კრება. დღიური წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება ცემის ორგანიზაციიდან, 3) არჩევა ამხანაგის მოძრაობის დარგიდან კოლექტივში, 4) სამკითხველოს დაარსება.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ქვათაძე. კრებამ მოისმინა რა მოხსენება, მოიწონა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და აღუთქვა დახმარება მთელი თავისი ძალ-ღონით. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კუდუნტერიძე, რომელიც კრებამ მოიწონა, და მოხსენებით კმაყოფილი დარჩა. კოლექტივში იყო არჩეული ახალა ჩიხლაძე და მის კანდიდატით პ. ცქიტიშვილი. კრებამ მადლობა გადაუხადა ამხ. ვიქტორ მაჭავარიანს, ჩიხლაძეს, ოქელაშვილს და ბაბუხლიას, რომლების ინიციატორობით იქნა დაარსებული სამკითხველო.

მდივანი კახიანი.

მუშათა შორის

ტრამვაის მუშათა ცხოვრებიდან.

რომ ჯოჯოხეთურია განსაკუთრებით დღეს კონდუქტორ-ვატმანების სამსახური, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ამას გულ ქვა ზოგიერთი მოქალაქეც იტყოდა. რა პირობებში მუშაობენ დღეს კონდუქტორ-ვატმანები? კვირა მათთვის არ არსებობს. დღის მუშაობა ხომ განუსაზღვრელია.

კვირაში ერთი დღე გვაქვს—როცა უნდა ვისვენებდეთ, მაგრამ არ ვისვენებთ, იმიტომ კი არა, რომ არ გვინდა, არამედ იმიტომ, რომ მდგომარეობას ვეწევით ანგარიშს და ვითმენთ; შედარებით კონდუქტორებთან ვატმანები ადრე თავისუფლდებიან სამსახურიდან. კონდუქტორებს კი ზედმეტი მუშაობა უწევს განსაკუთრებით ეხლა, როცა ნახევარი დღის შემოსავალი ხუთმეტი, ოცი თუმანის მაგივრათ ორასი, სამასი და ზოგჯერ კიდევ მეტს აღწევს ხოლმე, ასე რომ, რვა საათის მუშაობის მაგივრათ გვიწევს რვა ნახევარი, ცხრა საათის მუშაობა, კვირაში ორმოცდა ექვსი საათის ნაცვლად ვმუშაობთ 60—63 საათს. იქნებ სხვა მხრით არიან კარგ პირობებში, იკითხავთ? ვნახოთ. ჩვენ გვაქვს მოგებული „ხუტოროგის სუკნო" საზამთრო ტანისამოსათ. ეხლა რას ვღებულობთ? აქაურ კუსტარიულ ნაქსოვ მატერიას და როდის? ზამთარი თითქმის გადის; ნაცვლად დეკემბრისა თებერვალშიც მრავალი მოსამსახურე ტანისამოს მიუღებელია. მოსამსახურეები თხოულობდენ როცა ქალაქმა ფულზე დაუწყო ლაპარაკი, 3000 მანეთს, ქალაქი კი 2000 მეტს არ აძლევდა, რადგანაც მოსამსახურეები 2500 ზე არ დათანხმდენ, ქალაქმა დაგვიწესებით ტანისამოსი დაგვირიგა, რომელიც უჯდება არა ნაკლებ 4000 მანეთისა. ახლა შეხედეთ, სწორეთ რომ დიოგენის ფარნით საძებარია ისეთი თერძი როგორიც არის №№. ჯერ ერთი, რომ ვისაც შეუკერა, ისეა შეკერილი, რომ თუ არა ძლიერი სიცივე, ის არ ჩაიცმება, ასე გვგონია, ტომარიაო. ვისაც გაიტანა სახლში, ნაკლებია. მაზუზათ ის მოჰყვადა, ვითომ შენ პატარა ხარ და დიდრონებს მეტს ვაძლევთ. მეტყველ თერძზე უკეთესი გამოდგა... ასე რომ, ერთი მეორეს შეეცდებიან მუშების და ქალაქის გაყუჩებაში. ნეტავ მიაქცევენ ასეთ მოვლენებს ყურადღებას და აღარ გაიმეორებენ ასეთ შეცდომებს, თუ ძველი გზით იქნება? საჭირო კი იყო ყველა კითხვებს მუშების წარმომადგენლებთან ერთად სწყვეტდენ, რადგან ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს ტრამვაის არსებობა და მისი ბედ იღბალი, ამავე დროს ჩვენ უფრო მეტი ვიცით, ვიდრე სხვამ. არის მრავალი მაგალითები, რომ დადგენილება ქალაქისა ზოგჯერ შეუსაბამოა და მაზან-შეუწონელი, ესე იგი, არ უთანხმდება სინამდვილეს და მოაქვს ზიანი, ვიდრე სარგებლობა. მაგალითად, თუ გინდ ეს ნასესხი ტარიფი. რომ შეეკითხებოდნენ ჩვენ წარმომადგენელს, გაეთვალისწინებინათ ის პირობები, როგორ პირობებში უხდებათ კონდუქტორებს მუშაობა, ამ შეცდომას არ დაუშვებდნენ. მე, როგორც პრაქტიკიდან ვიცი, ასეთი ტარიფი ნაკლებ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე სხვა ფორმით მიღებული ტარიფი. საჭიროა ვისაც ჯერ არს გამოგვიყვანდეს უხერხულ მდგომარეობიდან და გარკვეულათ გამოგვიცხადებდნენ, ვის აქვს უფასოთ სიარულის უფლება და ვის არა. ხანდისხან მივმართავთ მოძრაობის უფროსს. მე არ ვიცი, დირექტორმა იცისო. მივმართავთ დირექტორს; არ ვიცი ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა და ასე პასუხს იძლევა. საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს.

რ. ნიკოლოზველი.

პროვინცია

წერილი დუშეთის მაზრიდან.

დუშეთის მაზრა ცნობილია, როგორც ჩამორჩენილი და [illegible] მხარე ჩვენის რესპუბლიკისა, ამიტომაც აქ ადგილი ჰქონდა ბოლშევიკურ გამოსვლებს და არეულობას. განსაკუთრებულათ გავრცელებული იყო ყაჩაღობა, რომელიც მთელ მაზრას თავზარსა სცემდა და თვით სახელმწიფოსაც დიდ განსაცდელს უმზადებდა. მატარებლების გადამყრელნი უმთავრესათ ამ მაზრაში აფარებდენ თავს.

ამიტომაც იყო, რომ მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა ამ მაზრაში და განსაკუთრებული ზომებიც იქნა მიღებული. მაგრამ სამართლიანობა უნდა ითქვას, ყველაფერი ეს ზომები ყაჩაღობას ვერ მოსპობდნენ მაზრაში, რომ თვითონ ადგილობრივ გლეხობას სახელოვანი ხელმძღვანელის და სახალხო გმირის ტიტე შუშიაშვილის მეთაურობით მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ ამ საქმეში. ავალაპარაკოთ ფაქტები, რაც უფრო ნათელ ჰყოფს ამ ჭეშმარიტებას.

წარსული წლის ენკენისთვეში შეუდგა ამ საქმეს ადგილობრივი გვარდია ტიტე შუშიაშვილის მეთაურობით. დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნენ ყაჩაღი გრიქულა, რომელიც სხვებთან ერთად თავ-ზარსა სცემდა მთელ მაზრას; დახვრეტილ იქნენ ვინმე ავალიშვილი, ქიტიაშვილი და ბაზარელი ყაჩაღი ქალი კაცის ტანისამოსში გამოწყობილი, რომელიც გასროლილ ტყვიას არ აცდენდა. ესენი გვარდიასთან ბრძოლაში იქნენ დახოცილნი სოფელ ჭიის ხევში. სოფელ გორობანში დატყვევებულ იქნენ ნიკო ირემაშვილი და ფილე ხუბაშვილი, რომლებიც გამოტყდნენ, რომ მათი საქმე იყო სადგურ ქსანის ახლო ლიანდაგის აყრა და მატარებლის გადაგდება, სხვა ყაჩაღთა ბრბოსთან ერთად. სოფელ ანანურის გაცარცვა და აწიოკება, ამ სოფლის მცხოვრების ქალის ანა ანჯაფარიძის მიგზნილან გადმოგდება და მისი ქალის თამარის გატაცება; ამათივე საქმე იყო ბაგის ჰილაში ქისტების ორი დედაკაცის მოკვლა, დარიალის რაზმის აფიცრის მდივანის და ერთი მოხევის მოკვლა; გამოტყდნენ აფიცრის წერეთლის მოკვლაში სამგზავროს ტყეში, რომლის ტანისამოსიც ნიკო ირემაშვილს ეცვა და სხვა. ესენი დახვრეტილ იქნენ ქალაქ დუშეთში.

ამ წლის 26 იანვარში სოფელ ქანდაურის მიუვალ დეხამენს ცაბეში შუადღისას ნამქერში მეიდა ტიტე შუშიაშვილი თავისი გვარდიელებით, სადაც ჩასაფრებული იყო ცნობილი ყაჩაღი ფილე პაკლეუნელი; ამ უკანასკნელმა ასი ტყვია ესროლა ტიტეს და მის გვარდიელებს ცხენიდან და შემდეგ გაიქცა; მაგრამ ტიტე დაედევნა და მოჰკლა ის.

3 თებერვალს ამა წლისა დატყვევებულ იქნენ უკანასკნელი, მაგრამ ყველა ყაჩაღებზე საზარელი კიდევ მელიტა პოლკოვნიკის ტანისამოსში გამოწყობილი და მისი მარჯვენა ხელი ვასო სოლაშვილი. ამ უკანასკნელთ მრავალი ბოროტმოქმედება აქვთ ჩადენილი მაზრაში; მათ ბრალდებათ ბაგა-ქილაში მეზავრების დახოცვა, სოფელ ახალგორის გაძარცვა და სხვა მრავალი.

ამნაირათ, მთელი დუშეთის მაზრა ტიტე შუშიაშვილმა და მისმა გვარდიამ სრულიად გასწმინდა ყაჩაღებისაგან. გვარდიას ყოველნაირათ ეხმარებოდა ამ მძიმე მოვალეობის ასრულებაში მაზრის ერობის თავმჯდომარე დათიკო ჰეიფიშვილი და ივანე ხანიშვილი, რომლებიც მთელ მაზრაში აწყობდნენ მიტინგებს და ხალხს წესიერებისაკენ და რესპუბლიკის დაცვისაკენ მოუწოდებდნენ.

ხათარხანი.

დაგვიანებული პასუხი

(დასასრული)

ჩვენც ვიცით, რა რჩება საზოგადოებას, აგრეთვე ისიც ვიცით, რის პატრონი იყო თქვენს მოსვლამდი; თქვენ კი სულ იმას ამბობთ: რაც აქვს, რაც რჩება, ხოლო თქვენ რა დატოვეთ საზოგადოებაში, ამაზე მჭერმეტყველურათ სდუმხართ.

ახლა თქვენი დიდი (?) ოპერაციები გავარჩიოთ: თქვენ მიერ დაგვირგვინებული პირველი და უკანასკნელი დიდი ოპერაცია ინგლისელთაგან გასტრონომიული საქონლის შეძენაა და აი რა სურათი გვეშლება თვალწინ: ინგლისელებისაგან შევიძინეთ სულ 624 000 მანეთის საქონელი; ამ საქონელს 15 პროც. ანუ 75.000 მან დაედვა მოგებათ ეს ქაღალდზე გამოანგარიშებული ციფრები და სინამდვილემ შემდეგი დაგვანახვა: საქონლის ყიდვიდან ერთი კვირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვიღაც scuflaner ს 50,000 მანეთი მიეცეთ საკომისიო. რადგან საზოგადოებას ასეთი დიდი თანხა არ ჰქონდა, ამიტომ ამიერ-კავკასიისა და მოსკოვის სახალხო ბანკიდან ისესხეთ ფული. ამიერ-კავკასიის ბანკში საჯარო (ხა თქმა უნდა ჯერ თქვენ წასვლამდე). ყოველთვიურათ ცხრამეტ ცხრამეტი ათასი მანეთი სარგებელი გადავიხადეთ, მოსკოვის სახალხო ბანკში ამას ნახევარზე მეტი იქნება, საქონლის გაყიდვის დროს 10 000 მანეთამდე გაფუჭებული საქონელი აღმოჩნდა. ასე, რომ ინგლისურ საქონელზე მოგვადგა 75,000 მან. და ფაქტიურათ გავწიეთ ხარჯები 144,000 მან. რა მოგება უნახავს საზოგადოებას ამ თქვენ ხანძქარი დიდ ოპერაციაში, თვით მკითხველმა განსაჯოს.

გადავიდეთ მეორე დიდ ოპერაციაზე: სახელდობრ თქვენ მიერ თბილისის საჯარო ბანკიდან აღებულ სესხზე. ჩვენ ის კითხვა სულ არ გვაინტერესებს, თუ რას მოხმარდა ეს სესხი; არამედ მისი პრინციპიალური მხარე. ამ ვალში გირავნათ მიეცით 100 000 კოლოფი ასანთი და 1,400 ფუთი ქაღალდი: ეხლა კი გამოირკვა, რომ ხსენებული გირაოდან, მხოლოდ 100,000 კოლ. ასანთი და 400 ფ. ქაღალდი შეადგენდა ჩვენს საზოგადოების საკუთრებას, რომელნიც მთავრობამ გადმოგვცა, დანარჩენი 1000 ფ. ქაღალდი კი ჩვენ არაოდეს არ გვქონია და ვისი საქონელი დააგირავეთ, დღესაც გამოურკვეველია. აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: ან ბანკი შეიყვანეთ შეცდომაში და დაუგირავეთ არ არსებული საქონელი, ან სხვისი საქონელი (ვისი, ეს თქვენ კარგათ იცით) დააგირავეთ, რის უფლებაც თქვენ არა გქონდათ. საბჭომ აგრეთვე ისიც იცის, რომ რწმუნებულთა საზოგადო კრებამ მადლობა გამოგიცხადათ „ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობისთვის", მაგრამ თქვენი ნაყოფიერი და სასარგებლო მუშაობაც მაშინ დამტკიცდება, როდესაც თქვენი მოღვაწეობისა და მოქმედების დროის წლიურ ანგარიშს განიხილავს საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრება, მანამდე კი აგონებით ლაპარაკი და აღტაცება ნაადრევია.

რაც შეეხება ზოგიერთ მოსამსახურეთა სამსახურში დატოვებას, ამას წინააღმდეგ საბჭოს თავის დროზე ქონდა მიღებული ზომები და გაფრთხილება კიდეც; ეს კარგათ იცით, ბ. იოსავა, რადგან წაკითხული გექნებათ ჩვენი არა ერთი მოწოდება-გაფრთხილება თანამოსამსახურეებისადმი.

შემდეგ კვლავ უბრუნდებით თ. ბ-ძის ინციდენტს. მოგყავთ მისი თქვენდამი მოწერილი ბარათის ასლი და ბრძანებთ, რომ მან უკან მიიღო ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებაო. ხოლო ჩვენ გეტყვით აქაც ნაადრევი დაასკვნათ სიხარული, რადგან ხსენებული წერილის შემდეგ აი რა აჩვენა მან ზემოხსენებულ კომიტეტს ამ ინციდენტის შესახებ: „данное мною присяжному повѣренному Ломинадзе (ზემოხსენებული კომიტეტის წევრი) письменное показаніе есть правда, что случай такой (თქვენ ძიაო შეურაცხყოფა) имѣлъ мѣсто, но я давъ обѣщаніе объ этомъ никому не говорить, былъ возмущенъ, когда моя невѣста, которой только повѣдалъ объ этомъ, огласила в этотъ случай". ეს არის თ. ბ-ძის უკანასკნელი ჩვენება. რას იტყვით ამის შესახებ?

თქვენ არც წინად უწევდით ანგარიშს მუშა მოსამსახურეთა საბჭოს, ბოლოს ხომ ზედქვეითობით ხშირათ [illegible] ადამიანურ მოპყრობას სახლდარს, როგორც ერთ-ერთ მანდილოსანთან შემთხვევას ჰქონდა ადგილი და რომლის მოწმენიც მთელი კონტორის მოსამსახურენი შეიქნენ. თქვენ სწორედ ვითომ საბჭოს ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს ტელეფონით სამმართველოში შესთავაზეთ მთელის საზოგადოებიდან 1000 მან. ერთი თვის განმავლობაში არ დაებრუნებინოს—მიეთვისებინოს".

ჯერ ერთი ხსენებული თანხა 15 დღეს ქონდა იმ პირს (მიიღო 21 ნოემბერს, დააბრუნა 6 დეკემბერს) და როდესაც თავისუფალი ქაღალდი არ აღმოჩნდა, რომ თქვენთვის ტელეფონი დაედგათ სახლში, დააბრუნა კიდეც. მეორე, თქვენი ლოღიკით თუ განვსჯით, თქვენ უფრო მეტ ხანს გქონდათ არა ათასობით, არამედ ათი და ასი ათასები საზოგადოებისა, მაგრამ მითვისებას მაინც ვერ დაგწამებთ; ასეთი თანხები დროებით გაიცემა (подъ отчетъ) და გამგეობის გამორკვევის შემდეგ აბრუნებენ დანიშნულებისამებრ.

აღარ ვიცით, რას იტყვით ერთ-ერთ ყოფილ გამგეობის წევრისა, სარევიზიო კომისიის წევრზე და სხვათა შესახებ, რომელთაც ათასზე ბევრათ მეტი აქვთ მიღებული თქვენი განკარგულებით და აგერ 3—4 თვე მიდის არ აბრუნებენ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი გადაყენებულნი არიან სამსახურიდან, არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვთ საზოგადოებასთან.

ამით ვათავებთ, ბ. იოსავა, თქვენთან კამათსა და პასუხს.

თფილისის ეკონომიური საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა საბჭო.

ცნობები

15 ენკენისთვეს 1919 წელს ქუთაისიდან სავაჭროთ საქმეებისათვის ფოთში გაემგზავრა კარპე ფირანისძე შენგელია, იქიდან მას აზრათ ჰქონდა ტუაპსეში წასვლა. რადგან დღემდე მისგან არავითარი ცნობა არ მაქვს, ვთხოვ, ვინც იცის რამე მის შესახებ, მაცნობოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ორპირის ქუჩა, მოსე ფირანისძე შენგელიას.

— ღია წერილი *).

ზარუბ კაპეტის ახულ მუტაფოვას და მაიდ ბეგ მინასიანცს.

4 ნოემბერს 1919 წელს ქ. განჯაში დაიკარგა მამა ჩემი—ვაგარშაკ მიხეილის ძე ტერ-საგათელიანი, სადაც იგი გაგზავნილი იყო კომერციულ საქმეებისათვის თფილისში არსებულ ზარუბ კაპეტას ახულ მუტაფოვას და მაიდ-ბეგ მინასიანცის სავაჭრო სახლების დავალებით,—რამაც ჩვენს ოჯახში კრიტიკული მატერიალური მდგომარეობა შექმნა; უკვე სამი თვეა დავეძებთ მას აზერბაიჯანისა და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის და პოლ. პასკელის მისიის საშუალებით თფილისში, მაგრამ უშედეგოთ; ამიტომ მისი მონახვის იმედი დაკარგულია. მამაჩემი დაუფასებელი მოამაგე და ერთად ერთი მარჩენალი იყო ჩვენი ოჯახისა. ვინაიდან მან თავი შესწირა ზემოხსენებულ ფირმების ინტერესებს,—მთელ პასუხისმგებლობას ვაკისრებ ზ. კ. მუტაფოვს, რომელიც გაგზავნის ფაქტიური ინიციატორი იყო და მ. ბ. მინასიანცს, რომელთანაც მამა ჩემი დაწესებულების მმართველათ იყო.

მე, როგორც ოჯახის უფროსს, მამის შემდეგ, იძულებული ვარ აღვძრა თქვენს წინაშე საკითხი მატერიალური დახმარების შესახებ ჩვენი ოჯახისათვის, რომელიც 7 სულისაგან შესდგება, რომელთაგან უფროსი მე ვარ,—სტუდენტი:

დღემდე ზ. მუტაფოვს მხრივ დახმარება 3,850 მან. გამოიხატება, რომელიც მოცემულია თამასუქის ქვეშ; მ.-ბ. მინასიანცის მხრივ—3 300 მ.

ამასთანავე, მთელ ამ საქმეს მე ვურიდგენ საზოგადოებრივ სინიდისის სასამართლოს.

სტუდ. ვაგრამ ტერ-საგათელიანი.

---

*) ეს წერილი გადმობეჭდილია გაზ. „სლოვო"-ს მე-29 ნომრიდან სტუდ. ვ. ტერ-საგათელიანის თხოვნით.

განცხადებანი

30 იანვარს, ხამტრედიაში

დავკარგე

სამხედრო თავისუფლების ბილეთი და პირადი მოწმობა, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნების ეს დოკუმენტები ჩაითვლება გაუქმებულად. ხრიფანე ვუნიაშვილი. (493—1—1)

ექიმი ა. ლევინშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების: ჰაერების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ოზურგეთში

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლევების, ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2332.

ექიმი

გ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. ა. [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] ახლო.

ექიმი ა. დ. [illegible]

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, ხასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი

ნ. დ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი ქართ. სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დაარს. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606" და „914" 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. შინ. ორგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

გ. მ. ამახარაძე —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშვო ავად. [illegible]

მ. მ. [illegible] 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარაპეტ-ბებუთოვიშვილი—12—1 საათ. (ორგ. ოპერ. და [illegible]). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.

გ. ა. [illegible]—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ და შაბათი).

[illegible]—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.

ღარიბებს ღარიბეგა უფასოდ.

სამკურნალოს დირექტორი

(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

ექ. დონხინისა

(შეღავათი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

ექიმი ვ. მ. მანარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—37. (114—თ).

ექიმი ქალი ვ. ხ. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28 (თ. 3065).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ბ. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და სასქესო ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 28.

გზათა დეპარტამენტი ამით აცხადებს

რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულ ტყიბულის ქვანახშირის გასაღება გადაეცეს აგენტს, რომელსაც ქვა-ნახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდად დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული პროცენტების დაკლებით. აგენტი ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვა ნახშირისა გაიტანოს ძალარიდებიდან გასაყიდად და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში, ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად აგენტი ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულების პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში. კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50,000 მანეთი და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დალუქულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინონ თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომლის დღესაც დანიშნულია შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეთა [illegible] 50,000 მანეთი [illegible] შეჯიბრებაში [illegible] გზათა დეპარტამენტს [illegible].

(ბ. 5—5)